

# რამაზ გიორგობიანი

## მრუდე სარკეში

პირსა ორ მოკმედიბაღ

მოკმედი პირნი:

ლევანი  
ნათელა — ლევანის შშობლები  
ბიჭიკო  
ნანა — ლევანის საცოლე  
ვია  
პატივცემული ილია  
გურამი  
მაკა — გურამის ცოლი  
თეა  
ცოლი  
ქმარი  
მსახიობი  
ნოდარი  
მარინე  
კაცი

მხატვრის სახელოსნო. ეტყობა ოთახის პატრონი დალაგებისთვის თავს მაინც დააიხივ არ იწუხებს. სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს შორის, რომლებსაც შემთხვევით ამა თუ იმ ფერის საღებავი შეეხებია, საჭიროა ერთი მაგნიტოფონი, ერთი ძველბურთი (შეიძლება აბლბურთი) ტანტა, ორი ან სამი სამფეხა ტილოვადამფარებელი ნახატი და დაბრეცილი სარკე, რომელშიც ახლა ნანა იპრანკება.

სცენაზე აქა-იქ, ნაგვის სახით, რაღაც ნივთებია დაყრილი, რომელშიც ქექვისას, შეიძლება რაიმე საინტერესო აღმოაჩინო.

ნანამ მაგნიტოფონი ჩაართო და კვლავ სარკეს მიუბრუნდა. მერე სკამზე დაკიდებული ხავერდის ნაჭერი ტანზე მიიხიშა, უნებურად ხელიდან გააგდო და თმა შეისწოლა.

სცენაზე, კულისებიდან, სადაც სახელოსნოს კარი იგულისხმება, ლევანი შემოვიდა. იგი ღიმილით უყურებს ნანას მანაპულაციებს.

ლევანი — ძალიან ლამაზი ხარ!

ნანამ ამაყად განთხედა.

ნანა — ჰმ, უშენოდაც ვიცი!

ლევანი ნანასთან მივიდა, უჩინოდან ხელები მოხვია, ნიკაბი მხარზე ჩამოაღო და სარკეში შეეკითხა.

ლევანი — დიდი ხანია, მელოდები?

ნანამ ლევანის ხელებიდან უდარდელად გაინთავისუფლა თავი.

ნანა — არა, არც ისე...

ლევანი ტახტზე ჩამოჯდა.

ლევანი — მანქანა ვერ დავიჭირე...

ნანა — არაუშავს, მე აქ მშვენივრად ვერთობოდი.

ლევანი — მოგწონს გიას სახელოსნო?

ნანა — ისე მეკითხები, თითქოს პირველად ვიყოთ აქ.

ლევანი — აჰ, ეს უკვე გკითხე?

ნანა — დიახ.

ლევანი — მერე რაო, რა მითხარი?

ნანა — ცოტა ყურადღებით მისმინე ხოლმე.

ლევანი — მითხარი რა, რა მითხარი?

ნანა პომადოს ისევს და ტუჩები დაძაბული აქვს.

ნანა — ა-რა-ფე-რი.

ლევანი — მითხარი რა?

ნანა — ოჰ!

ლევანმა ოვლები დახარა და გაჩუმდა.

ნანა — ვიამ რამე ცუდი არ იფიქროს ჩვენზე.

ლევანი — რა უნდა იფიქროს?

ნანა — რა ვიცი... აქ რომ ვხვდებით ერთმანეთს, უხერხული არ არის?

ლევანი — რა არის უხერხული. ქვეყანამ იცის ჩვენი დამოკიდებულება... ვიამ მითუმეტეს.

ნანა — ხომ მიხდება შეკრევილი თმა?

ლევანი — რა თქვი?

ნანა — ვერც კი შეამჩნიე. თმა რომ შევიკრიკე!

ლევანი — როგორ ვერ შევამჩნიე... ძალიან გიხდება... შენ საერთოდ ყველაფერი უხდება. გრძელი თმა, მოკლე თმა, მინი კაბა, მაქსი კაბა.

ლევანმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

ნანა — ერთს მოუყიდე და მომეცი!

ლევანმა სიგარეტს მოუკიდა. ნანამ გამოართვა და უსაქმოდ დაიწყო სიარული.

ნანა — თიკას დედამ მოიწერა ამერიკიდან... ცხენისტანიანი კაცი დაუჭერიათ.

ლევანი — ჰიჰ.

ნანა — რა გაციინებს, არ გჯერა?

ლევანი — კარგი, რა ნანა!

ნანა — ჰო, მართალს გეუბნები... მისწავლელად მუშაობდა სადღაც სოფელში.

ლევანს გაეცინა.

ნანა — ... ცხენის ტანი აქვს და კაცის თავი.

ლევანი — (სიცილით) ჭიბიდან, თუ კისრიდან?

ნანა — რა, ჭიბიდან თუ კისრიდან?

ლევანი — (სიცილით) ჭიბიდან აქვს ცხენის ტანი, თუ კისრიდან?

ნანა — (ზიზღით) დეგენერატი, ჰო, იცინე. იცინე, ვითომ ყველაზე ჭკვიანი ხარ.

ლევანი — (ხარხარით) ჭიხვინებს, თუ ლაბარაკობს?

ნანა — (გაცხარებით) აკი გითხარი, სოფლის მასწავლებელია-მეთქი.

**ლევანი** — ნუ გამავიწყებ, ნანა. ეგ, არსად წამოგცდეს, სირცხვილია!

**ნანა** — (ყვირის) ე. ი. თიკას დედა იტყუება, არა? ე. ი. ამხელა ქალი — თიკას დედა, მატყუარაა, არა?!

**ლევანი** — არა, მე ეგ არ მითქვამს...

**ნანა** — აბა, რა თქვი აქ, კრეტინივით რომ იცინოდი?

**ლევანი** — კარგი, ნანა, ალბათ თიკას დედას შეეშალა. ყველაფერი ხდება.

**ნანა** — (ისტერიული ყვირილით) არაფერიც არ შეშლია. ხომ შეიძლება ცხენისტანიანი კაცი არსებობდეს, შეიძლება, თუ არა?!

**ლევანი** — (შიშით) ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ...

**ნანა** — (უყვირის) შეიძლება თუ არ შეიძლება?

**ლევანი** — არა, შეიძლებით, რა იქნა უნდა, შეიძლება...

**ნანა** — ჰოდა, ასე!

ნანა ქშენით ჯდება ტახტზე და მგორე სივარტეს უკიდებს. ცოტა ხანს ასე ჩუმად სხედან ვერდი-ვერდ. ლევანს ეღიმიება და ხელს ხვევს, მაგრამ ნანა უმეაფოვლოდ თავისუფლდება მისგან და კვლავ უსაქმოდ სიარულს იწყებს.

**ლევანი** — (მორიდებით) რას აკეთებდი დღეს?

**ნანა** — დილიდან მკერავთან ვხივარ... დეკოლტე ვერ განიკეთა. ვუთხარი, პატარას ნუ ამოჭრი თქო... სხვა მკერავს უნდა წავუღო... ეს მამაჩემივით მარიგებს ჭკუას. ასე ღრმა დეკოლტე ვის გაუგიაო, ასე მოკლე კაბაში სიარული სირცხვილიაო... თუ მომიწინა, სულ შიშველი ვივლი.

**ლევანი** — მართალია, მაგრამ ვინმეს ანგარიში ხომ უნდა გაუწიო?

**ნანა** — ნუ გეშინია. ვისაც ნინდა, იმას ანგარიშსაც ვუწევ. შენ რა გრცხვენია ჩემთან ერთად სიარული?

**ლევანი** — არა, რატომ უნდა გრცხვენოდეს?

**ნანა** — რა ვიცი, სხვებს ანგარიშს არ უწევო და...

ლევანი ნანასთან მივიდა და ხელები მოხვია.  
ნანა გაბოვანდულდა.

**ნანა** — კარგი რა, ლევან, თავი დამანებე, სირცხვილია!

**ლევანი** — აბა, სად არ არის სირცხვილი.

**ნანა** — მოკლედ, ახლა არ გინდა... ცუდ გუნებაზე ვარ. იმ დებილმა მკერავმა, თავისი ნოტაციებით, ხუთ წუთში დამაჭკნო. ხომ იცო, კაცები ჩემი გულსთვის ქუჩაში რა დღეში არიან, დღეს კი ერთსაც არ შემოუხედავს. (სარკესთან მივიდა) ნერვიულობისგან თვალები ჩამიღურჯდა.

**ლევანი** — (უკმაყოფილოდ) თვალები საღებავმა ჩავიღურჯა.

**ნანა** — თუ გინდა მსაც იყოს, მერე რა? შენ ცოლად გინდისარ, თუ

მოსამსახურე?

**ლევანი** — ჩვენ ყველაფერი ისე ვევექნება, როგორც შენ იტყვი. მე არაფერს დაგიშლი. რაც მოგესურვება, იმას გააკეთებ.

**ნანა** — ჰოდა, ძალიან კარგი! (ბავშვივით გაეცამაშება) ჩემი თბილი ბიჭი, ჩემი ჭკვიანი ბიჭი.

ლევანს გაეღიმა და ნანასთან დააპირა მისკლა.

**ნანა** — მანდ იყავი, არ მოხვიდე. რად გინდა, ხომ შევთახხმდით? (და ისევ ბავშვივით) დამშვიდდი, შენი ჭირიმე. დამშვიდ-დი.

**ლევანი** — ასე მგონია, ჩემ დღეში არ ნიკონია შენთვის. ყოველ შეხვედრასზე თავიდან ვიწყებ შენთან დაბლოებას.

ნანამ საათს დახედა.

**ნანა** — ჰოდა, ძალიან კარგი. უფრო საინტერესო არ იქნება, ყოველდღე სიყვარული რომ ამიხსნა? (ნანამ სარკესთან მიგდებული ხელჩანთიდან თვალების საღებავი ამოიღო და პატარა ჯაგრისით წამწამების გაშავება დაიწყო) რა იყო, ჩემო ძვირფასო, რამ ჩავაფიქრა?

**ლევანი** — სადმე გეჩქარება?

ნანამ ხმა არ გასცა. სარკეში კვლევობა მოათავა და იქვე დაყრილ ხიფთებში ქიქვა დაიწყო.

**ლევანი** — არ გესმის, რომ გეკითხები?

**ნანა** — რამე გკითხე?

**ლევანი** — სადმე გეჩქარება-მეთქი?

**ნანა** — რაზე მამჩნევ?

**ლევანი** — რა ვიცი, საათზე დაიხედე.

**ნანა** — ხოო...

**ლევანი** — რა, ხოო?

**ნანა** — არაფერი, სად უნდა გეჩქარებოდეს?

**ლევანი** — რა ვიცი?

**ნანა** — (მოწყენილად) ტელევიზორი მაინც იყოს.

**ლევანი** — თავიდან იწყებ შენს ნომრებს?

**ნანა** — (გაკვირვებით) რა ნომრებს?

**ლევანი** — აი, საათზე დაიხედე, მერე — ერთი-ორჯერ კითხვაზე პასუხი არ გამეცე, მერე — ვითომ მოგწყინდა, ახლოს არ მივარჯებ, სიტყვას ბანზე მიგდებ. ეს ყველაფერი ხომ ვიცი. რა გინდა, ნერვებს რატომ მიშლი?

ნანა — შენ გიყი ხომ არ ხარ?

ლევანი — მე რაღა ვაგოყება მინდა? აღარ მოგწყინდა, ისედაც გიყიდა ვარ. ხომ ხედავ, შენი გულისთვის ყველაფერს ვაკეთებ.

ნანა — რას აკეთებ ამისთანას?

ლევანი — თავიდან დავიწყოთ?

ნანამ სამაჟური იპოვნა.

ნანა — ვაი, ნახე რა ლამაზია! (ლევანი სახტად დარჩა) ალბათ გიას გაკეთებულია, არა?

ლევანი — (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ჰო, ალბათ გიას გაკეთებულია.

ნანა — დღეს, შენ მოსვლამდე, თითი გავიკაწრე და პირში ჩაიდო... კარგა ხანს წუწნიდა. (დაფიქრდა) ვუყვარვარ ალბათ!

ლევანს გაცინა.

ნანა — რა გაციინებს? შენ კი არ მომექცეოდი ასეთი სიყვარულით.

ლევანი — კარგი რა, ნანა.

ნანა — მე შენ გულებზე, ის ბიჭი, ჩემზე ჭკუას ჰკარგავს.

ლევანი — გია ჩემი მეგობარია.

ნანა — მერე რა, სიყვარულმა მეგობრობა არ იცის.

ლევანი — კარგი რა... (გაცხარებით) რომ უყვარდე, ეს სახელოსნო შენი პორტრეტებით იქნებოდა სავსე.

ნანა — (ამოქნარებს) ჰო, კარგი, გყუყუა... სულ გიაზე ხომ არ ვილაპარაკებთ... არ მინდოდა, გული დაგწყვეტოდა და არ გითხარი, თორემ მართლა წასასვლელი ვარ.

ლევანი — სად და რატომ?

ნანა — სპეკულანტთან ჩექმებზე.

ლევანი — ჩექმები ხომ გაქვს?

ნანა — კიდევ მექნება.

ლევანი — არ მიყვარს შენზე ჩექმები!

ნანა — ამას ჩემთვის აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა.

ლევანი — რას ნიშნავს, არა აქვს მნიშვნელობა?

ნანა — აბა, შენი ჭკუით ჩავიცვა და დავიხურო?

ლევანი — მერე რა მოხდა? რაღაც ხომ გვაკავშირებს? მე მგონია, რაღაცაში ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ, დავუთმოთ, როგორ შეიძლება ყოველდღე გიჯლინი... ჩექმებზე არ ვლაპარაკობ.

ნანა — მერე რას მეჯიჯლინები?

ლევანი — კი, მაგრამ... მომისმინე, ნანა, ყოველდღე ასეა, როდისმე

ხომ უნდა მორჩეს ჩვენი ასეთი დამოკიდებულება? ასე მგონია, ბეწვის ხიდზე დავდივართ. ყოველი ჩვენი შეხვედრა ნერვიულობით და ჩხვებით მთავრდება. უნდა დავუთმოთ ხოლმე ერთმანეთს. რომ მეუბნები, რას მეჯიჯლინებო, საერთოდ უბატონოდ ვინ გცემს ხმას?

ნანა — რა ვიცი, სიგარეტი არ მოსწიოო.

ლევანი — როდის ვითხარი, ნანა?

ნანა — ამ ჭყეტელა დ უგებოვნო კაბებს ნუ იცვამო.

ლევანი — ნანა, რას მიგონებ, როდის იყო შენ საქმეებში ვერეოდი?

ნანა — აბა, ჩექმებზე ვინ დაიწყო ლაპარაკი?

ლევანი — კაცო, არ შეიძლება ჩემი აზრი გამოვთქვა?

ნანა — ხომ ვითხარი, შენი აზრი არ მაინტერესებს-მეთქი.

ლევანი — რას ნიშნავს, ჩემი აზრი არ გაინტერესებს. რა სისულელეს მეუბნები?

ნანა — სულელიცა ხარ და მეტიც. შენ არ მითხარი, შენნაირად ჩაცმულ ქალებზე ნიანგში გიგლა ფირცხალავა კარიკატურებს ხატავდაო და ათი წლის წინ შენნაირებს სტილიაგებს ეძახდნენო?!

ლევანი — (გაცხარებით) დიახ, არ იცი, რომ ეძახდნენ! არა, ასე აღარ შეიძლება. ყოველთვის ბავშვივით ჯიუტობა გავივია? რამეში მაინც დამეთანხმე, ან ამიხსენი, რატომ არ მეთანხმები?... არა, ახსნით კი მიხსნი, მაგრამ ამას ყოველთვის საფუძვლად ჩემი ნერვების მოშლა უდევს. ყოველ წამს იმას ფიქრობ, როგორ გამომიყვანო მდგომარეობიდან, როგორ მანქვიანო, როგორ გამაცოფო და ვამაგიფო, თითქოს ეს რაღაც სადისტურ სიამოვნებას განიჭებს. ე. ი. მე რომ ცუდად ვგრძობ თავს, შენ კარგად ხარ. მერე, რა საჭიროა იმის თქმა, რომ ქუჩაში კაცები მართო შენ გიყურებენ? ხომ იცი, ასეთი ლაპარაკი და ქცევა მე არ მსიამოვნებს. შენ თუ გგონია, რომ რაც უფრო მეტს მანქვიანებ, მით უფრო მეყვარები? პირიქით, ყოველი ასეთი იატფასიანი საქციელი ჩემში საოტარ პროტესტსა და ზიზღს იწვევს... რომ აჯახუნებ მავ თვალებს, რამე თუ გესმის ჩემი ლაპარაკიდან, თუ ისევე ჩექმებთან და დეკოლტივებთან ერთად საღიაც დაფრინავ... გამოთიმე ეგ მაგნიტოფონი, თორემ გადავადგი ფანჯრიდან.

ნანა — მიდი და გამოთიმე

ლევანმა ბოროტად ჩაყრა კლავისი თითი. მერე ნელ-ნელა დამშვიდდა და შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს ცუდი სიზმრიდან გამოგრძობო.

ლევანი — რას ვამბობდი?... არც კი მახსოვს... რა მნიშვნელობა აქვს... მატატიე, თუ რამე გაწყენინე... დღეს ბევრი გიმუშავე. ძალიან დაღლილი ვარ.



ნანა — მორჩი?

ლევანი — (ეცინება) ჰო, მორჩი.

ნანა — აბა, წავედი მე ჩემებზე და, თუ გინდა, მერე დამირეკე.

ნანა ხელნათა აიღო და სცენიდან გავიდა. ნარტო დარჩენილმა ლევანმა გუ-  
ამის ცოცხალ ყუთს ფეხი დაარტყა. ყუთი გრძინით სცენის სიღრმეში შე-  
გორდა. სცენა ბრუნავს.

## II.

სცენაზე სასტუმრო ოთახია. ერთ მხარეს ტახტია, რომელზეც ლევანი წა-  
მოგორებული და გაზეთებს კითხულობს. მეორე მხარეს — სავარძელი და ტე-  
ლეფონი პატარა ტახტურეტზე. ალბათ სასტუმროში მაგიდაცაა საჭირო თავისი  
სკანებოთ. დანარჩენი ავეჯი — სურვილის ნიბეღვით. სცენაზე ლევანმა მამა — ბი-  
ჭიკო, შემოდის. თან თავის პერსონალურ სკამს, ან სავარძელს შოთრეუხს. იგი ზო-  
მაზე მეტად მსუქანია. უსახლო მასიური და პიჟამოს ზოლებიანი შარვალი აცვია.  
ნახევრადმოთვლემარე ბიჭიკო ოთახის შუაგულში გაჩერდა. მერე თავის შემოატანილ  
სავარძელში ჩავსდა და ჩუმი ხვრინვა ამოუშვა.  
რეკავს ტელეფონი. სცენაზე ნათელა შემოვიდა და ყურმილი აიღო. ბიჭი-  
კოს სამსუქნისაგან სუნთქვა უჭირს. ნათელას ნერვები ეშლება.

ნათელა — ალოო!.. გამარჯობა ქეთო, გენაცვალე... არ გრცხვენია  
ღმერთო მომკალი, რა შეწუხებაა! ხო... ხო... ხო... ოჰ, რას მეუბ-  
ნები (ბიჭიკოს) უუჰ!.. (ტელეფონში) ამ დროს სახლში რა უნდა,  
ქალო? ხო... არა, ხომ იცი შემოწმებებია. ახლა სამსახურშია. მო-  
ვა და ვეტყვი... ოჰ, მაგას ნუ გვკადრებ, შენი ჭირიმე... კარგი, ქა-  
ლო, ბიჭიკოს მაგი როგორ გაუჭირდება... არა, გენაცვალე, შენ ნუ  
სწუხხარ, ყველაფერი რიგზე იქნება (ბიჭიკოს, ყურმილზე ხელის  
დაფარებით), ან გადააფურთხე, ან ჩაყლაპე... (ტელეფონში) ჰო...  
არა, ქეთო მე ტყუილები არ ვიცი. ყველაზე მეტად მატყუარა ადამი-  
ანის მეჭავრება... აუცილებლად... ა-უ-ცი-ლებ-ლად... როგორ გე-  
კადრება, ბიჭიკომ რომ გაიგოს, ასეთებს მთავაზობ, გამეყრება (ბი-  
ჭიკომ ინტერესით შეხედა ნათელას და კვლავ ხვრინვა გააგრძე-  
ლა)... შენი პატივისცემით... ჰო... ეჰ, რა ვიცი, რა მიშავს... წნევიამ  
შემაწუხა ცოტა... უჰუ... ავერ, თბილ წყალში მაქვს ფეხები ჩაყრი-  
ლი... (ლევანმა ფეხებზე შეხედა) ტელეფონთან, აბა სად? ტელე-  
ფონთან რომ არ ვიღებდე „ეანებს“, შენ როგორ გიპასუხებდი?

ლევანი — აჰი, ტყუილი მეჭავრებაო?

ნათელა — რა უშავს, კარგად არის. მე და ბიჭიკოს გვაკრიტიკებს და  
არის. ხომ იცი, თანამედროვე ახალგაზრდობას არავის პატივისცე-  
მა არ ვაჩნიათ. ცინიკოსები... ხო, ხო... ახლა რაღაც პიესას წერს  
და გნახოთ... ღმერთმა ქნას... არა, ლევანი, შენ თვითონ იცი, ყვე-  
ლსაგან გამოირჩევა, მაგრამ მაინც ძნელია... ხო, კარგი გნატყვა-

ლე. კარგი... რისი მადლობა... მომიკითხე თქვენები... ხო... ნახვამ-  
დის... ნახვანდის... კარგი. (ნათელამ ყურმილი დაკადა და ლევანს  
მოუბრუნდა საყვედურით) შენი ჭირიმე, როცა ვლაპარაკობ, ნუ  
მეჩხირები ხოლმე.

ლევანი — არა, რა ვიცი, ტყუილი მეჭავრებაო და...

ნათელა — ტყუილიცაა და ტყუილიც. ეს ტყუილი არაფერს აფუჭებ-  
და...

ლევანი — ჰო, კარგი, თავი დამანებე.

ნათელა — (ვაცხარებით) ძალიან გთხოვ, ენა ნუ შემომჩვიე, უყურე  
ამას შენ, სულ არა აქვს დედის პატივისცემა. ჩემთან დიდი გული  
გაქვს, სხვაგან კი ხმა ვერ ამოვიღია, ყველამ როგორ უნდა დაგჩაგ-  
როს? ყველამ ყველაფერში როგორ უნდა დაგასწროს? აქ რომ  
მაკრიტიკებ, წადი და შენი კონკურენტები გააკრიტიკე... ამას წი-  
ნათ მითხრეს, რა ზრდილობიანი შეილი გყოლიაო. ერთი სახლში  
გნახონ, რა ზრდილობიანიცა ხარ და დედას როგორ ელაპარაკები.  
შენი ხნის ბიჭები მრავალშვილიან ოჯახებს არჩენენ. აბა, შენი  
ძმაცაცები ნახე, რომელი ართმევს დედას ყოველდღე მანეთიანს?  
მანეთი კი არა, თვითუღს დღეში ასი მანეთი აქვს, აბა!.. მიყურე,  
მიყურე, ვერ მიცანი? მამაშენი შენსავეთ დოყლაპია რომ ყოფი-  
ლიყო, მასე კი არ იქნებოდი ტახტზე წამოგორებული. მუხის მუ-  
შაგი, პეჰ!

ლევანი — იმ ას მანეთს ყოველდღე სად შოულობენ?

ნათელა — სადაც შოულობენ, რა მნიშვნელობა აქვს? კარგად ხომ  
ცხოვრობენ? ხომ გშურს?

ლევანი — სრულებითაც არა მშურს. პირიქით, მეცოდებიან. არც-  
ერთი ჩემი საღმის ღირსიც არ არის.

ნათელა — ჰოჰ. ვინ ხარ ვითომ შენ? ყველა შენ საღამთან ერთად გი-  
ყიდიან და გაცყიდიან.

ლევანი — რა გინდა, ფული გაკლია?

ნათელა — არა.

ლევანი — აბა, ჩემთან რა გინდა, კომბინატორი გავხდე?

ნათელა — ის მინდა, რომ წმინდანი არა ხარ და მოზავალი თუ გინდა  
გქონდეს, ნორმალური ადამიანივით უნდა მოიქცე.

ლევანი — ე. ი. რა ვქნა, ჩემს საქმეს თავი დავანებო?

ნათელა — მაგას, რასაც შენ აკეთებ, საქმე არ ჰქვია. ეგ ჰობია.

ლევანი — ჰობისთვის ვსწავლობდი უნივერსიტეტში?

ნათელა — ჰობისთვის კი არა, დიპლომისთვის, და სხვათაშორის, სპე-  
ციალობაში ხუთი რომ მიიღე, ის ხუთი მე დამიწერეს, აბა.

ლევანი — ეგ როგორ?

ნათელა — როგორ და, ჩემი და მამაშენის პატივისცემით, აბა ხუთი

არ გლირსებია შენ დღეში და ვიფიქრეთ, ერთხელ მაინც: გავა-  
ტრაადოსნით ჩვენი ბიჭი თქო, მაშ.

- ლევანი** — პოოო... დიდი მადლობა.  
**ნათელა** — არაფრის, ბატონო.  
**ლევანი** — ყელამდე ვარ თქვენი პატივსაცემით.  
**ნათელა** — ეჰ, როგორ გეკადრებათ, ეს ჩვენი ვალია.  
**ლევანი** — ნახვამდის.  
**ნათელა** — მოსავალ შეხვედრამდე.  
**ლევანი** — ბოლო სიტყვა აუცილებლად შენ უნდა თქვა?  
**ნათელა** — აუცილებლად.  
**ლევანი** — რომ არ ვათქმევინო?  
**ნათელა** — ვნახოთ.  
**ლევანი** — ვნახოთ.  
**ნათელა** — ვნახოთ.  
**ლევანი** — ვნახოთ.  
**ნათელა** — ვნახოთ.  
**ლევანი** — ვნახოთ.  
**ნათელა** — ვნახოთ.  
**ლევანი** — ჰო, კარგი, თავი დამანებე.  
**ნათელა** — დანებებული არ ხარ?

ლევანი კიდედაც გადაბრუნდა.

- ნათელა** — ბიჭიკო (ბიჭიკომ თვალის გაუხელოდ ჩაიღრუტუნა) კაკოს ცოლმა დარეკა, (ბიჭიკომ კვლავ ჩაიღრუტუნა, გისმენო) ძმისშვილი უნდა მოუწყო მალაზიისში.  
**ბიჭიკო** — თოჰ!  
**ნათელა** — თჰ კი არა, ამ კრიტიკოსს ვინ დაესმარა?! შერე, გარაუხევე კაკოს უნდა სთხოვო. შენ გგონია შენი გენიოსი შეილი გაანძრევს ხელს? ყვ ტახტი რომ არ შეყიდა, რა ეშველებოდა ამ უბედურს? (ნათელამ ლევანს გადახედა. ლევანმა ყურადღება არ მიიქცია) შენ გგონია სიბერეში მაინც გვეყოლება ვინმე დამხმარე? არა, ისე მანქანა კი უნდა, მაგრამ საქმეს რომ დაავალებ... მოკლედ შეაყარე კედელს ცერკვი — დედა ელაპარაკება და ზურგი აქვს ჩემსკენ მოწვევრილი... გესმის, ბიჭიკო, რასაც გეუბნები?  
**ბიჭიკო** — ჰო.  
**ნათელა** — ეს საქმე თუ არ ვაუკეთე, აღარ დაეხმარება ამ ჩერჩეტს. ხომ იცი, ერთი-ორჯერ მოთხრობა დაუბეჭდეს კურნალში და დიდი ვინმე ჰგონია თავისი თავი. ის კი აღარ ახსოვს, კაკოს დარეკვით რომ გაკეთდა ყველაფერი... ახლა თავი წმინდანად მოაქვს...

უყურე, უფრადღებასაც კი არ ნაქცევს, ვითომ არც ელაპარაკობ.  
**ლევანი** — (ნათელასკენ მობრუნდა) რა გინდა, დედა?  
**ნათელა** — რა მინდა და, მაგ რაღაც პიესას რომ დაანთავრებ, იყიდე რანჩე საჩუქარი და კაკოს მიუტანე. ბავშვი აღარ ხარ, ნეყოფა, რაც ვირბინე შენი გულსთვის. ახლა შენ თვითონ მოუარე თავს. მიხვალ და ეტყვი, კაკო ბიჭია, მე ნათელას შეილი ვარ-თქო. თუ გახსოვთ, რანდენჯერმე დამეხმარეთ და ნუ მომაკლებთ თქვენ მზრუნველ ხელს-თქო. ხომ იცი, როგორც უნდა ელაპარაკო — ზრდილობიანად, მოწიწებით, ახლა მამაშენი მაგის ნათესავს მოაწყობს სამსახურში და ამანც გადაუკარი სიტყვა.

- ლევანი** — არა, მე მაგას არ ვაუკეთებ.  
**ნათელა** — რას არ ვაუკეთებ?  
**ლევანი** — აი, რაც შენ დამისურათხატე.  
**ნათელა** — რატომ?  
**ლევანი** — იმიტომ, რომ ასეთი საქციელი მე არ შეკადრება.  
**ნათელა** — ა, უყურე! ე. ი. თავისი მშობელი დედა აფერისტი გამოკყავს, თვითონ კი ანგელოზია. დილიდან-სალამომდე შენზე ფიქრსა და დარდს ვარ გადამკვდარი და მე გამოგყავარ აფერისტი? გესმის, ბიჭიკო, რას მეუბნება? შენ აფერისტი ხარო, ასეთი სიტყვები დედას უნდა აკადრო?  
**ლევანი** — როდის გითხარი, აფერისტი ხარ მეთქი?  
**ნათელა** — აბა, რა მითხარი? უარესი არ მითხარი? დმერთო ჩემო, რატომ შეყალიბე მთელი ჩემი ახალგაზრდობა ამ უმადურ აღამიანს? როგორ მეგონა, როგორ მეგონა, რომ ყველაფერი დამიფასდებოდა...  
**ლევანი** — გვაცადე ცოტა, იქნებ დაგიფასოთ.  
**ნათელა** — ჩაიკმინდე ხმა, ერთი ჭკვიანურა აზრი არ ამოგსვლია ბიჭიდან.  
**ლევანი** — შენი ჭირინე, თავი დამანებე.  
**ნათელა** — კისერიც გიტეხია, მეორედ არ მითხრა, დედა ეს გამიკეთე, დედა ის გამიკეთეო. რაც გინდა, ის ქენი, სულ ფეხებზე მკიდია.

ნათელა გაბრაზებული გადის სცენიდან. ისმის ზარის ხმა. ლევანი კულისებში გადის და ვიღაც კაცთან ერთად ბრუნდება. ეს კაცი დიდ და, ეტყობა, საკმაოდ მძიმე კალათა მთავრებს. იგი ბიჭიკოს წინ მოწიწებით ჩერდება.

**ლევანი** — მამა!

ლევანმა ბიჭიკო შეანჯღრია და კვლავ ტახტზე წამოგორდა.

**კაცი** — გამარჯობათ, გიორგიევიჩ! (ბიჭიკომ ზანტად შეხედა) ციტრუსი მოგიტანეთ, გიორგიევიჩ, ჩლიქებიცაა ხაშისთვის, მზარეული საღამოს გეახლებათ. ყველას ჩამოვუარე. მეთხუთმეტეს პროდუქტი უფუჭდება და დიდი ბოდიშები ვიხადათ, მაგრამ ერთი წუთით მაინც შემოვირბენო. ყველას მამა და საყვარელი მშობელი — გიორგიევიჩი როგორ არ უნდა ვადღეგრძელოო. იმან (კაცმა თითი მრავალმნიშვნელოვნად აიშვირა ჭერისკენ) მოვალე! ახლა ბორჯომზე და ლიპონათზე გავიქცევი.

შემოდის ნათელა.

**კაცი** — გამარჯობათ, ნათელა ოთარეენა.

**ნათელა** — ოჰ, გამარჯობა შენი.

**კაცი** — ხომ კარგად, ნათელა ოთარეენა?

**ნათელა** — ეჰ, კაცმა რომ შემომხედოს, ჩემზე ჯანსაღი ქალი არ არის ამ ქვეყანაზე, მაგრამ ერთი ჩემ ორგანიზმში ჩაგახედა, როგორ ძილებზე ყველაფერი. მოკლედ გარედან შელამაზებული მკვდარი ვარ.

**კაცი** — ოჰ, მაგას ნუ იტყვით, ნათელა ოთარეენა.

**ნათელა** — შენი პატარები როგორ არიან?

**კაცი** — არიან რა.

**ნათელა** — შენსავეთ მღერიან, ალბათ!

**კაცი** — არა, მაგის ნიჭი არ გამოჰყვიათ, სამაგიეროდ „შახმატს“ კარგად თამაშობენ.

**ნათელა** — რასაც შენ მღერი, ვეღარ ასწავლევ?

**კაცი** — ხომ იცით, ნათელა ოთარეენა, ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ რაც მეტად დაახალბე, მით უფრო უნიჭო გამოვლენ. აქ ცოტა ფრთხილი მიდგომა საჭირო.

**ნათელა** — მართალი ხარ, მართალი... ეგ რა მოიტანე?

**კაცი** — მანდარინებია, ნათელა ოთარეენა. ახლა ბორჯომზე მივდივარ.

**ნათელა** — სანამ წახედლოდე, ერთი მიქსიკურად გვიმღერე.

სტუმარმა ცხირსახოცი ამოიღო. სკამზე დააფინა, ზედ ფეხი შედგა, ჩელებში აჩარსებული ვიტარა მოიმარჯვა, თვალები წარმოღვენილი აიწინაყენ აღაპყრო და ვითომ ნექსიკურად — უაზრო სიტყვებით, შეყვირებებით და კავილით სერენადა იმღერა. ნათელამ თეატრალური პოზით ტაში დაუკრა. ლევანმა დედის გაჯაყრებით, კაცმა და „ბრაეო, ბრაეო“ გაუფხავნა. კაცმა პუბლიკას თავი დაუკრა.

**ნათელა** — ტალანტი, ტალანტი!

**კაცი** — (მორცხვად) წაყვდი, ნათელა ოთარეენა.

**ნათელა** — (კალათზე მიუთითებს) ეგ სამზარეულოში გაიტანე და წადი. (კაცი გადის)

**ნათელა** — საცოდავი.

**ლევანი** — თუ გეცოდება, რაღას ამბიუნებ?

**ნათელა** — რაღას უსმენდი? ვერ უთხარი, გაჩერებულყო? შენ იცი, რომ ღვედაშენი სამსახურში ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეა და ყოველდღიურად სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის იბრძვის.

**ლევანი** — ეგ რაღა სასამართლოა?

**ნათელა** — რა და, აი, მაგალითად ვინმე თაღლითი გვყავს კოლექტივში. ვცდილობთ სანამ საქმე ციხეში მივა, ჩვენვე გამოვასწოროთ. ან, ვიღაცა ვიღაცას წაეჩხუბა და ეს მათ საქმიანობაში ხელს უშლის, ე. ი. ამით საერთოდ საქმე უფუჭდება... პო-და, მაგალითად, გუშინ ორი ერთმანეთს დამღურებული თანამშრომელი შევარიგეთ...

**ლევანი** — არ ვიცი, ეგეთი სასამართლო არ გამოვიდა. შე ვგონებ, ქალებს საქმე არ გქონდათ და საჭიროა დრო და ადგილი იპოვეთ.

**ნათელა** — იცი, რა ვითხრა, აი, ზუსტად შინაბერესავით ჭიჭინებ. მომისმინე ბოლომდე, იქნებ საინტერესო რამეს გყვები.

**ლევანი** — (დაღლილად) პო, მართალი ხარ, მართალი.

**ნათელა** — შენ ცოლი აღარ მოგყავს?

**ლევანი** — აუუჰ!

**ნათელა** — არა, სერიოზულად გეკითხები.

**ლევანი** — რა იყო?

**ნათელა** — ნანა რომ აღარ ჩანს, სად არის?

**ლევანი** — სახლშია, ალბათ.

**ნათელა** — იჩხუბეთ?

**ლევანი** — რატომ უნდა გეჩხუბა?

**ნათელა** — აბა?

**ლევანი** — რა აბა, რას გადამეკიდე?

**ნათელა** — დაბერდი უკვე, გესმის, და-ბერ-დი. შენც დაბერდი და ის გოგოც დააბერე. მალე მაგისაც გაუჭირდება გათხოვება.

**ლევანი** — მერე გათხოვდეს, მე კი არ ვიჭერ.

**ნათელა** — როგორ გათხოვდეს, როცა შენი საცოლელი!

**ლევანი** — ოჰ, კარგი რა, დედა, რა გაუთხავებელი ლაპარაკი იცი, ჩვენი საქმე შენ სრულებითაც არ გეხება.

**ნათელა** — თუ ნანას დაშორდი, აგერ ლიანა მშვენიერი გოგოა, დიდებული ოჯახის შვილი. გუშინ სწორედ დედამისი შემხვდა და სულ შენზე მელაპარაკა.

**ლევანი** — ეგ-ღა მაკლია, მოლაპარაკებით მოვიყვანო ცოლი.

ნ. დრამატურგია



**ნათელა** — რა მოხდა მერე? კულტურული თვალსაზრისით...  
**ლევანი** — ეგ არ გააკეთო, თორემ სამუდამოდ წაგეჩხვებები.  
**ნათელა** — აბა, შენი მოსაწონი ველარ გვიპოვია, ბატონო.  
**ლევანი** — არ იცი, რო...  
**ნათელა** — ჰოპ, ამის პრანჭიაობამ მომსპო.  
**ლევანი** — მე შენ გეუბნები, ეგ არ გააკეთო, თორემ იწანებ.  
**ნათელა** — ჰოპ, უცებ არ შემაშინო.  
**ლევანი** — აი, ვნახოთ.  
**ნათელა** — ვნახოთ!  
**ლევანი** — ვნახოთ!  
**ნათელა** — ვნახოთ!  
**ლევანი** — ვნახოთ!  
**ნათელა** — ვნახოთ!

ლევანმა, გაბრაზებულმა, გაზეთები მოისროლა და დედის ზურგი შექცია

**ნათელა** — (წყნარად) გაზეთები არ დახიო, ჯერ არ წამიკითხავს!

ნათელამ ერთი გაზეთი აიღო და გაშალა.

**ნათელა** — ბიჭიკო.  
**ბიჭიკო** — ჰმ.  
**ნათელა** — კომეტამ უნდა ჩაუაროს დედამიწას, მისი კუდი ცის ნახევარს დაფარავსო. აგერ სწერია, იანვარშიო... დედამიწას რომ მოხვდეს?  
**ბიჭიკო** — ჰეპ.  
**ნათელა** — შეიძლება დედამიწა ვერ დაამტვრიოს, მაგრამ დიდი ცეცხლი თუ გაჩნდა, ნახე შენ! იანვარში თოვლი იქნება და ხანძარს ჩააქრობს! თბილისში ხანდახან იანვარშიც არ მოდის თოვლი. შეკაცო, ნუ გადაგვაცოლევ, გამოიყვანე ეს მანქანა... მაღე გამოიყვანე?  
**ბიჭიკო** — ჰმ.  
**ნათელა** — გამოიყვანე და იანვარში წავიდეთ ქალაქიდან.  
**ლევანი** — ძალიან მავონებ ერთ აღამიანს.  
**ნათელა** — ვის?  
**ლევანი** — არა აქვს მნიშვნელობა.  
**ნათელა** — რადგან დაიწყე, ბარემ ბოლომდე სთქვი.  
**ლევანი** — ისიც, შენი ხნის რომ გახდება, ზუსტად შენ დავემსგავსება.  
**ნათელა** — მომკლა ამის რეზუსებმა. საკმარისია. წავიყვან, აგერ, ნანას ექიმთან და მოაწერეთ ხელი. შეძლებული ოჯახის შვილია. გეყოფა ჩემს კისერზე ჯდომა.  
**ლევანი** — ექიმთან რა ვინდა?

**ნათელა** — როგორ, ქალიშვილი რომ არ იყოს?  
**ლევანი** — (გაკვირვებით) რას ამბობ, დედა?  
**ნათელა** — აბა, შენ რა გგონია, ჩალით არის ეს ქვეყანა დასურული? შენი თანაკლასელი ლალის გამო თავს რომ იკლავდი. ლარ ვახსოვს? (ლევანს აჯავრებს) ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი. ლალის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. ასეთი სუფთაა. ასეთი უმწიკვლო! ქორწილის დღეც კი გქონდათ დანიშნული. რატომ გაგექცა? რატომ ვითხრა უარი? სიმაართლე რომ ვამოვამყარავე, სომ აღარ ვაგიყარა ახლოს? მთელი წელიწადი ჰქუადამთხვეულივით დაბორილობდი — მეშინოდა, საიქვეთში არ გამიხდეს ბიჭი წასაყვანი-თქო. აი, შენი უმწიკვლო სიყვარული — ხომ არ აღმოჩნდა ქალიშვილი!

**ლევანი** — (ფეხზე დგება) საიდან იცი? ექიმთან გეკვდა?  
**ნათელა** — არა, არ წამომყვია. შეეშინდა. ჩემთვის ისედაც ნათელი იყო ყველაფერი. რამდენი ვეხვეწე, დედაშვილურად ვეფერე. როგორ გეკადრებათ ნათელა დეიდაო! მაგი მომატყუებდა მე?! სირცხვილს გადავარჩინე... (თავისთვის) მომბეზრდა ამ თემაზე საუბარი. ბიჭიკო, მიდი მეზობელთან, შეაძლიე რამე, ეგებ უჩხუბრად დაგითმოს გარაჟი, თორემ კაკოსთან ერთი-სამჯერ ძვირი დაგიჯდება. მერე, რად ვინდა, რომ კარის მეზობელი მტრად გაიჩინო? არ ჯობია, თვითონ ამას მისცე ფული, ვიდრე...  
**ლევანი** — (ჯერ კიდევ გაოგნებულია. ჩუმად) რას უქნევ თავს, ვერ ხედავ, რეებს გაკეთებინებს?!  
**ნათელა** — ჰო, მე მგონი ჯობია, რომ კი არ წაართვან, თვითონ დაგითმოს.  
**ლევანი** — (ეტყობა გამოერკვა. ხმაძალა) სანამ ციხეში ჩაუსვიხართ, იმ შენს ამხანაგურ სასამართლოზე არ გაჰყავხართ?  
**ნათელა** — ლევან, შენს თავს ბევრის უფლებას ნუ აძლევ!  
**ლევანი** — (გაცხარებით) საერთოდ წავალ თქვენგან, იცოდე. (მამას) ვერ ამოიღებ ხმას? უთხარი რამე, თორემ ციხეში ჩავგსვამს მთელ ოჯახს.  
**ნათელა** — ლევან, მამას როგორ ელაპარაკები?  
**ლევანი** — რა ვიცი, რომ მამაჩემია?

ბიჭიკო ადგა და სკამის თრევით გავიდა სცენიდან.

**ნათელა** — როგორ, ჩემი შვილი ხარ, თუ ბანდიტი, ქუჩიდან შემოთრეული?  
**ლევანი** — რა ვიცი, რომ შენი შვილი ვარ? მე არ მახსოვს და იქნებ „ბრიუტიდან“ ამიყვანეთ. რითი გგავართ თქვენ — ცხვირით, აღ-



ნაგობით, სახის ოვალით, თუ ქეუის დალაგებით?  
**ნათელა** — ლევან, ლევან, როგორ მელაპარაკები?  
**ლევანი** — (ყვირილით) როგორც დაიშახურე, ისე.

**ლევანი** სწრაფად გადის სცენიდან.

**ნათელა** — ლევან, სად მიდიხარ?

სცენა ბრუნავს.

### III.

გოის სახელოსნო. გია ზაფხურებული ზის სკამზე (ან ღაღის, ან ღვას, ან ფუს-ფუსებს ან... და ა. შ.) სახელოსნოში ლევანი შემოდის.

**ლევანი** — გია, გამარჯობა!

**გია** — (ცეცხლად) გაგიმარჯოს.

**ლევანი** — ხატავდი რამეს?... ხელი ხომ არ შეგიშალე?

**გია** — არა.

**ლევანი** სავარძელში ჯდება. ცოტა ხანს ჩუმად არიან.

**გია** — ნანა უნდა მოვიდეს?

**ლევანი** — არაა!

**გია** — ისე ამბობ, თითქოს თავის დღეში არ მოსულა აქ.

**ლევანი** — (სიცხლით) არა, ამჯერად მარტო გეახელი.

**გია** — ჰოო!

**ლევანი** — არის რამე ახალი?

**გია** — არაფერი.

**ლევანი** — წაიკითხე კომეტაზე?

**გია** — ხო.

**ლევანი** — მერე?

**გია** — რა, მერე?

**ლევანი** — შენ რაღაც გუხნებაზე ვერ ხარ, მეც არ უნდა ვიყო მაინც-ღამაინც გაბრწყინებული, მაგრამ ოპტიმიზმი!

**გია** — და პესიმიზმი!

**ლევანი** — საოცარია... ყველა მდგომარეობიდან არსებობს გამოსავალი. თავიდან გეჩვენება, ღმერთო ჩემო, ეს რომ შემემთხვას — დავიღუპები, უბრალოდ... უბრალოდ არაფერიც არ მოხდება... ანდა, რაღაც გამოუვალ მდგომარეობაში ხარ... უბრალოდ, უნდა გაიქცე... მოკლედ, განერიდო. ბოლოს აღმოჩნდება — არაფერიც არ

დაიღუპები... ცოტა ეგვიზმი. არ უნდა მიაქციო ყურადღება, რომ ვინმეს ეტკინება... ეტკინება და გაუვლის. შენ თვითონ ხომ ეტკივა? ჰოო, შენც გაგივლის და იმასაც... შენი პირველი მტერი შენვე ახლობელია.

**გია** — ჩემზე ამბობ?

**ლევანი** — (სიცხლით) არა, საზოგადოდ, აი, ვის გამო შევიძლია თავი ჩამოიხრჩო? ვინც ვიყვარს, ასე არ არის?

**გია** — ეგრე გაქვს საქმე?

**ლევანი** — (სიცხლით) არა, არა. მე, უბრალოდ, სულ ცოტა მტკივა... ესეც გაივლის.

**გია** — ნანას წაეჩხუბე?

**ლევანი** — (ზიზილით) არა, კაცო, ნანა ამ პატარა ტკივილის ღირსიც არ არის.

**გია** — ე. ი. დაშორდით ერთმანეთს?

**ლევანი** — ხომ ვითხარი — ნანაზე არც მიფიქრია... საერთოდ არ მახსოვს.

**გია** — ძალიან კარგი.

**ლევანი** — ძალიან კარგი.

**გია** — ჰო, ძალიან კარგი, რომ არ გახსოვს — ნანა არ იყო შენი ღირსი.

**ლევანი** — ეს როგორ გავიგოთ?

**გია** — ნუ მიაქცევ ჩემს სიტყვებს ყურადღებას, ვიფიქრე, განშორებას გავუადვილებ მეთქი.

**ლევანი** — ხომ ვითხარი — ნანა საერთოდ არ მახსოვს.

**გია** — მითუმეტეს, ე. ი. ჩემი დამშვიდებაც არ გეჭიროდება.

**ლევანი** — ნანა არაფერ შუაშია... და საერთოდ, იმდენად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან და იმდენად უმნიშვნელო იყო ჩვენი დამოკიდებულება, რომ არაფერიც არ მიგრძენია. სრულიად სხვადასხვა ხალხი ვართ... არაფერი არ გეჭონდა საერთოდ... რაზე უნდა მელაპარაკა ნანასთან, რა კონტაქტი უნდა დამემყარებინა?

**გია** — რა ვიცი?

**ლევანი** — ნანა კარგი გოგოა, მაგრამ ეს კარგი ჩემი არ არის.

**გია** — მართალი ხარ, მეც არ მესიმპატიურებოდა.

**ლევანი** — რა ვიცი, გადაყვედი თავზე და.

**გია** — ბიჭო, აბა შენ რას იზამდი ჩემ ადგილზე?

**ლევანი** — (დაღლილად) ჰო, მართალი ხარ.

**გია** — დაამთავრე პიესა?

**ლევანი** — არა, გული არაფერზე არ მიმდის... მერე, რომ არ დადგან, ელეთ-მელეთები მომივა. ახლა ჩემს თავს ვამშვიდებ — ლევან, ნუ ღელავ, მაინც არავინ დაგიდგამს პიესას! ნურავის ნუ აჩვენებ, ნუ წააკითხებ, წერე შენთვის, სანამ არ მოგბეზრდება. ჰოოდა

**ვერ...** მომბეზრდება და დავხვებ... ანდა, თუ მაინცდამაინც ძალიან არ მომბეზრდა, მაშინ წავიღებ — დადგამენ — დადგან, არა და — არ მეწყინება.

**გია** — რაზეა?

**ლევანი** — აუჰ, ეს რა ბანალურ გულის გადაშლას მთხოვ.

**გია** — გული რა შუაშია?

**ლევანი** — ეს ჯერ მხოლოდ ჩემია, თუ გადავწყვიტე, პირველი შენ წაიკითხავ.

**გია** — (ირონიით) თუ ჯერ სახალხოდ გადაშლი გულს?

**ლევანი** — ვნახოთ.

**გია** — შენ რომ არ მითხრა, მე თვითონაც მივხვდები, თუ ვინდა გეტყვი?

**ლევანი** — მიდი.

**გია** — შენი პიესის გმირი ახალგაზრდა, ნიჭიერი დილექტანტია. თან ანგელოზია, წმინდანია, მხოლოდ ფრთები აკლია და ამის გამო იმ ჭუჭყისთვის, რომელიც გარშემო ახვევია, თავი ვერ დაუღწევია. გარშემო კი მხოლოდ მეშჩანები, სულელები და არაკომუნიკაბელური ხალხია. ეს ახლა მოდაშია... უყვარს გოგო, რომელიც მისი სიყვარულის ღირსი არ არის... აქვს იდეა, რომელსაც თავს შესწირავს და ა. შ.

ლევანი ირონიით უსმენს.

**გია** — მერე... მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი პირველი მტერი — მისივე ახლობელია. რწმუნდება ცხოვრების არარაობაში და ნორმალურად კვდება, მაგრამ სწორედ ამ ლპობის მომენტში გაახსენდება ბავშვები, ყვავილები, ცის სილაყვარდე და ფინალში ვხვდავთ ახლად დაბადებულ ადამიანს, მომავლის იმედით და პორთფელით ხელში, რომელშიც თავისი საქმიანობის მიხედვით, ახალი პროექტია, ახალი ლექსია, ან ჩემპიონის ტიტულია სპორტის რომელიმე სახეობაში.

**ლევანი** — (ყოველივეს იგნორირებით) შენ დაიწყე რამე ახალი?

**გია** — (ირონიით) აუჰ, რა ბანალურ გულის გადაშლას მთხოვ.

**ლევანი** — (სიცილით) რაღაც დაგიწყია. ბავშვობაში ძალიან მინდოდა, მხატვარი გაემხდარიყავი. შენ თვითონ გახსოვს, როგორ ვხატავდი... შენ მხატვარი ხარ, მე — არა. ბავშვობაში მინდოდა ავტობორტრეტი დამეხატა... ერთ დიდ ტილოზე ჩემი რამდენიმე ფიგურა სხვადასხვა იერით, პოზით... ყოველი მათგანი ჩემი ხასიათის ნაირსახეობა იქნებოდა... მოკლედ, მარტივად რომ ვთქვათ, ერთი რომანტიკოსი, ერთი რეალისტი, ერთი ხულიგანი, ერთი

ღონ-ყუანი, ერთი ბედნიერი, ერთი უბედური და ა. შ. რა ვიცი; მაშინ მართლა მრავალი სახე მქონდა... ალბათ ბავშვობაში ყველა მრავალსახოვანია... ახლა კი, წლები გადის და, ასე ვთქვათ, ეს ტალანტი მეკარგება. კონსერვატიზმი გამიჩნდა. ზუსტად ვიცი — აი, ეს ცუდია, აი, ეს — კარგია, საჭმელი კარგად უნდა დავღებო, ტროლეიბუსში უკანა კარიდან უნდა ავიდე, რამეს რომ არ წამოველო და არ წავიქცე, ფეხებქვეშ უნდა ვიყურო... იცი, რატომ არ დავფრინავთ? იმიტომ, რომ დედამიწა გვიზიდავს და, შენი თქმის არ იყოს, ფრთები არა გვაქვს.

**გია** — რაღაც, ლაპარაკის გუნებაზე ხარ.

**ლევანი** — ეტყობა, ვბერდები. დღეს ტაქსის მოფერს მთელი ჩემი ცხოვრება ვუამბე.

**გია** — იმან, რაო?

**ლევანი** — არაფერი, მანაც მიაბო და ერთმანეთის ცოდვით დავიწვიოთ. დღეს ჩემებსაც წავეჩხუბე.

გია კითხვით შეხედა.

**ლევანი** — დედაჩემს ვეჩხუბე... მოკლედ, სახლიდან წამოვედი.

გია ხმას არ იღებს.

**ლევანი** — ცოტა ხანს შენთან ვიცხოვრებ.

**გია** — რაზე იჩხუბეთ?

**ლევანი** — რა ვიცი, რაღაც წვრილმანებზე... ერთმანეთს ვერ ვეგუებთ — ნერვები გვეშლება.

**გია** — ბავშვი ხომ აღარა ხარ, თავი უნდა შეიკავო.

**ლევანი** — ხო, მართალი ხარ... თუ შეიძლება, სახელოსნოში დავრჩები რამდენიმე დღე.

**გია** — მამაშენმა, რაო?

**ლევანი** — როდის იყო, მამაჩემი რამეს ამბობდა.

**გია** — ჰოო!

**ლევანი** — აგერ ტახტზე დავიძინებ, თან უფასო დარაჯი გეყოლები.

**გია** — იქნებ გადაიფიქრო და სახლში დაბრუნდე?

**ლევანი** — არა, აღარ შემიძლია, დავიღალე, ისინიც დავღალე. უკვე საჭიროა ცალკე ვიყო. სულ მაგათ კმაყოფაზე ხომ არ ვიქნები?

**გია** — ჰოო!

**ლევანი** — მოხუცდნენ უკვე... სხვა განზომილებაში ცხოვრობენ.

**გია** — ჰო, ალბათ.

**ლევანი** — მე ხელს არ შეგიშლი. აქ მარტო დასაძინებლად მოვალ.

გია — ეგ არ არის საქმე.

ლევანი — ვერ გავიგე?

გია — აქ ვერ დაგტოვებ, სახელოსნო ღამეც მჭირდება.

ლევანი — კი, მაგრამ...

გია — ძალიან გთხოვ, დისკუსიას ნუ გავმართავთ.

ლევანი — გაწყენინე რამე?

გია — რა უნდა გეწყენინებო, უბრალოდ. ღლეიდან სახელოსნო და-  
კავებულა და ნუ შემაწუხებ ხოლმე.

ლევანი — რაღაც ვერ გამოგია, იმედია დროთა განმავლობაში ყველა-  
ფერი გაირკვევა.

გია — შეიძლება.

ლევანი — ე. ი. რაღაც სერიოზულია, ასე რომ ნელაპარაკები... იქნებ  
უკვე ნეგობრებიც აღარა ვართ, იქნებ აღარაფერი გვაკავშირებს  
ერთმანეთთან?

გია — არ ვიცი, ალბათ.

ლევანი — რას იზამ, რადგან ასეა.

ლევანი სავარძელთან წდგომ სამფხვას ეყრდნობა და უნებურად ნახატს გად-  
ფარებულ ტილოს ჩამოაკლეს. ეს ნანას ბორტრეცია. ლევანი ცოტა ხანს მწუხ-  
რე ერთნით ათვალეობს ნახატს.

ლევანი — აჰ, ეს ის გოგო არ არის, შენ რომ არ გესიმპატიურებოდა?

გია — (მშვიდად) ჰო, ის გახლავთ.

ლევანი ტილოს დაავლებს და სცენიდან გადის.

### ფ ა რ ღ ა

## მოქმედება მეორე

### I.

გურამის ბინა. სცენაზე კაბინეტის ტიპის ოთახია. დაბალ მაგიდასთან სავარ-  
ძელში თვა ზის და სოფარეტს აბოლებს. მაკა შემოდის ორი ყავის ფინჯანით და ერთს  
თვს აძლეის.

მაკა — ერთი წესიერად ვერ ვამარჩიელებინე ვინმეს ყავაზე.

თვა — ახლა აღარ მარჩიელობენ... ისე, მახსოვს, ერთ დროს შენც  
მარჩიელობდი.

მაკა — ის რა იყო, უბრალოდ, ვერთობოდი. ანაის ბიჭმა მასწავლა,

მაგრამ ცოტა და, ჩემი ამბავი ხომ იცი, მალე დამავიწყდა.

თვა — ის ანაის ბიჭი ძალიან ღამაზი ბიჭია.

მაკა — ღამაზი კი არა... რამე რომ მინდა იაფ ფასებში, ჩავდივარ, გე-  
უბნები, გრიშა, არ გეცოდები? მიშოგნე, კაცი არ ხარ?... შენთვის,  
„კაქლა“, ხველაფერს გავაკეთებო. ერთხელ არ უცდია რამე. ჩვე-  
ნი ბიჭებიც კი არ არის.

თვა — კი, ჩვენები იქით არაან წაგლეჯაზე. ჯერ მოეთხოვენ და მერე  
ღმერთმა უწყის, შეგისრულებენ თუ არა.

მაკა — თანაც მაგარი ბიჭია. სისერს რომ შეეხედავ, მაკანკალებს  
ხოლმე.

თვა — გურამი როგორ არის?

მაკა — კაი გოგო, რა გურამი. კაბინეტი, გადაყვა ამ კაბინეტს. ახა-  
ლი უნდა ვიშოგო და დილიდან საღამომდე მთვრალია. საღდაც  
დაეთრევა... ლევანი ხომ ჩვენთან არის.

თვა — ლევანი?

მაკა — ხო, ლევანი. ამას ჰგონია, ლევანმა პიესა დაწერა და კაბინეტი  
რომ ვიშოგო, მეც დავწერო. საკუთარი ხუთი თითივით ვიცი მა-  
გის ჰკუთის ამბავი... ახლა ამ იდეას იმდენს ატრიალებს რესტორ-  
ნებში, სანამ ციფ-ცხელდება არ დაემართება და მერე, ვაი, მაკა  
მიშველე, და ვაი სასწრაფო — ვცვლები. არაფრის გამკეთებელი არ  
არის. სუფთა ნულია. რა ვიციოდი, ასეთი ჩუჩელა თუ იყო. ისე,  
გენაცვალე, გადმოაგდებს ამ ენას და იმდენს ატარტალებს, გული  
მერევა ხოლმე... დედა, რა ჰკვიანია, რა ურუდირებულია, — რა  
თავში სახლელად მიხდა მაგის ერუდიცია, სულელი თუ არის.  
ოღონდ კაბა დაინახოს, გადმოზარაწავს ამ თვალებს და არის პირ-  
ზე დუქმომდგარი.

თვა — ჩვენს დროში ეგეთი ქმარიც კარგია.

მაკა — კაი რა... ლევანს რა უჭირს, მერე თვეა ოჯახიდანაა წამოსუ-  
ლი. არც დარდი, არც არაფერი...

თვა — კარგი, ნუ მაგიჟებს!

ოთახში ნახევრად შინაურულად ჩაცმული ლევანი შემოდის.

მაკა — რას გავიყებ? გადაეკიდნენ ერთმანეთს და არიან ბაირამში.  
თვითონ იცი, ჩვენი სახლის კარი ყველასთვის ღიაა და ვისაც მო-  
ეპრიანება, ის შემოდის... რამედ მაინც ვარგოდეს ან ერთი, ან მე-  
ორე — დასხდებიან და დილიდან საღამომდე ჟან ანუი, აურუღი-  
ანო ბუენდია, კურტ ვონეგუტი, ბეკეტი, ბერგმანი, ფელინი... რომ  
უსმინო, გავიყლები... ვინც მე მომწონს, ყველა დეგენერატია მა-

გათი ჰკუთით... ერთი კინკილა პიესა დაწერა ამ უბედურმა და აღარ იცის, რომელ რესტორანში გასკდეს.

**თეა** — ლევან, მომილოცავს, მე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, გადასარევი პიესააო.

**ლევანი** — არის რა.

**მაცა** — (ირონიით) დრამატურგი! (თეას) ამ პიესის ავტორს რომ უყურებ, ეს გურამზე კრეტიანია. რაც კი ჰქონდა გულში, თავის ოჯახზე, თავის სიყვარულზე, თავის ძმაცუცებზე. — სახალხოდ გამოაქვეყნა. ახლა მთელმა ქალაქმა იცის, რომ მამამისი დებილია, დედამისი — ქურდი, ის, ერთი ნანა რომ ჰყავდა. შტერია და გათახსირებულა. კიდევ ვინ დარჩა, ბიჭო?

ლევანი კაბინეტის მავიდასთან ზის და რაღაც წიგნში აქვს თავი ჩარგული.

ჰო, კიდევ ერთი ძმაცუცი ჰყავდა და ძირიანად მოთხარა... ჰოდა, აი, ამ პიესაში რაც დაწერა, ამის გულისთვის ეჩხუბა თავის მშობლებს, თავის ძმაცუცს, თავის საცოლეს და ახლა ავერ გვიზის მე და გურამს შიკამოთი... ვინ იცის, იქნებ ახლა ჩვენზე აპირებს ზიესის დაწერას და მერე სად წავა, ღმერთმა უწყის.

**თეა** — (ღიმილით) ლევან, ჩვენზეც ხომ არ აპირებ რანის დაწერას?

**ლევანი** — (თავაუწევლად) არ იქნებოდა ურიგო.

**თეა** — უყურე ამას.

**მაცა** — დაანებე თავი. თავში ქვა უხლია... მაგასაც და მაგის ძმაცუცსაც. გუშინ თავისი ფალოსოფოსობით ისე ღომიშალეს ნერვები, ვიდრე კინოში არ წავედი, ვერ დავმშვიდდი.

**თეა** — რა ნახე?

**მაცა** — კიდევ კარგი „სასაცილო გოგონა“ იყო. მეხუთედ ვუყურებდი და მაინც დიდი სიამოვნება მივიღე.

**ლევანი** — ომარ შარბიფს რომ კარტის თამაშის დროს თვალები უფართოვდება, ამის სანახავად მეხუთედ როგორ უნდა წახვიდე კინოში?

**მაცა** — არა ბიჭო, შარბიფის ნახვას შენი და ჩემი ქმრის „გეშოლკები-ვით“ კისრების ყურება მირჩევნია!

ლევანს გულიანად გაეცინა. სცენაზე სანოვაგით დეტვირებული გურამი შემოიღის.

**გურამი** — ოჰ, თეას გაუმარჯოს.

**თეა** — გამარჯობა, გურამ.

კოცნიან ერთმანეთს.

**გურამი** — აჰა, ნაცა, მოამზადე, ახლა ვილაღ-ვილაღები მოვლენ.

**მაცა** — რესტორნებში არ ვეყოთ?

**გურამი** — ნუ ვაპტირე საქმე, ხომ იცი, არ ვეყო. ავერ, თეაც მოგეხმარება.

**თეა** — ბიჭო, ასე იღებთ სტუმრებს?

**გურამი** — მიდი, ნიდი. ბევრს ნუ ლაპარაკობ.

მაცა და თეა წუწუნით გადიან. გურამი ხენგით ჯდება საყარძელში.

**გურამი** — გუშინდელს მერე თავი მისკდებო. არა, ცოტა უნდა დავისვენოთ, თორემ ორგანიზმი ვერ გაუძლებს.

**ლევანი** — მე რომ მკითხო, ამჟამად ეგ პრობლემა არ მაწუხებს.

**გურამი** — შენ, ჩემო ძნაო, მარტო ეს კი არა, სხვა პრობლემებიც არ გაწუხებს.

**ლევანი** — მერე რა, ცუდია?

**გურამი** — არა, ცუდი რატომთა, მეც დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი შენსავეთ.

**ლევანი** — მერე, რა ვიშლის ხელს?

**გურამი** — მოვალეობა.

**ლევანი** — ჰოო, ეგ რთულია.

**გურამი** — ლევან, მე მგონია, სახლში უნდა დაბრუნდე.

**ლევანი** — ვაჰ!

**გურამი** — თქვენები გაგიყვებული არიან.

**ლევანი** — (ირონიით) მართლა?

**გურამი** — ნათელა დეიდა ყოველ შეხვედრაზე ტირის. მამაშენი დღი-ღღე სულ ცუდად ხდება. რაც ლევანი წავიდა, ლოგინიდან ვერ ავაყენეთო. დედაშენი შენი შიშით აქაც ვერ მოსულა — სულ გადაირევალ... მერე, არც კი რცხვენია, პრემიერაზეც კი არ დაგვბატოვალ, მართლა შენი მტრები ხომ არ არიან, შეიძლება შეცდომებს უშვებენ, მაგრამ შენ ვითომ ვინ ხარ, ან რა უფლება გაქვს საკუთარ მშობლებს სასამართლო მოუწყო.

**ლევანი** — ჰოდა, ამიტომ წამოვედი.

**გურამი** — კი მაგრამ, ეს იგივე სასამართლოა. ამას ცოტა სადინმის სუნი ასდის. ვერა გრძობ, რომ იტანჯებიან? მამაშენი, ღმერთმა დაიფაროს და შენ გამო სიკვდილის პირასაა მიყვანილი... ის მაინც ვამაგებინე, ნანას რას ერჩი?

**ლევანი** — კარგი რა, დავანებოთ ამას თავი... თუ გავიწროვებ, პირდაპირ მითხარი.

**გურამი** — არ გრცხვენია? ვიცოდი ამას რომ მეტყოდი.

**ლევანი** — მაშინ ცოტა მაცალე და წავალ.



**გურამი** — იყავი, მაგრამ დედამეწამა დღეს მითხრა, მამა ძალიან ცუდად არისო.

ლევანმა შავიდაზე ფანქარი მოისროლა და ბოლოს ცემა დაიწყო. თათხში მსახიობი შემოვიდა.

**გურამი** — ოჰ! შემოდი, შემოდი.

**მსახიობი** — გამარჯობათ.

**ლევანი** — გამარჯობა.

მსახიობმა გაბრწყინებული სახით ჩამოართვა ლევანს ხელი და რამდენჯერმე შეანჯღრია.

**მსახიობი** — დიდი სიამოვნება მომანიჭა შენმა პიესამ, უდიდესი სიამოვნება.

**ლევანი** — კარგი რა.

**მსახიობი** — ღმერთმანი ლევან, ტალანტი არ იმალება, აღტაცებულ ვარ. მშურს, მშურს!... და ბრაზით ვსკდები, როლი რომ არ შეტვია. ეს არის მოვლენა ჩვენს დრამატურგიაში.

**ლევანი** — კარგი რა, გმადლობთ, გმადლობთ.

**გურამი** — კარგი, შეეშვი, ვერ ხედავ, „პახმელიაზეა“.

**მსახიობი** — პა, პა, პა კარგი, კარგი. არავინ მოსულა, თუ მარტო ჩვენ ვიქნებით?

**გურამი** — არა, ახლა მოვლენ.

შემოდის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი.

**ცოლი** — ოჰ, დრამატურგიც აქ ყოფილა.

**ქმარი** — ოოო, დრამატურგს ვახლავართ.

ლევანს კოცნიან.

**ცოლი** — გურამ, შენი ჭირიმე!

**გურამი** — ადვილად მოაგენით?

**ქმარი** — კი, ძალიან ჩქარა.

თათხიდან, სადაც სასადილო იგულისხმება, თვა შემოიღის.

**ცოლი** — (შესძახებს) თეიკო! როგორ გამეხარდა შენი ნახვა. დედა, როგორ გამხდარხარ, (ხმადაბლა) ერთი გამაგებინე, იმ მსახიობს რა ჰქვია?

**თვა** — აზრზე არა ვარ.

ცოლი გაბადრული მიუბრუნდება მსახიობს.

**ცოლი** — (ფამილარულად) როგორა ხარ, გენაცვალე?

**მსახიობი** ცოლ-ქმარს ხელს ართმევს.

**მსახიობი** — გმადლობთ, არა მიშავს.

**ცოლი** — მაკა სად არის?

**გურამი** — სამზარეულოშია... არა არ შეხვიდე, თვითონ გამოვა მალე.

**ქმარი** — თქვენ, კაცო, მთელი წვეულება გქონიათ.

**გურამი** — არა, რა წვეულება, ჩვენ ვიქნებით და, ალბათ, ბატონი ილია მოვა კიდევ.

**ცოლი** — რა არის? დაბადების დღე ხომ არ გაქვს?

**გურამი** — არაა, რა დაბადების დღე. ისე არ გვიქვია თუ რა? პატარა შინაურული სადილია.

სცენაზე შეუმჩნეველ პატივცემული ილია შემოდის.

**პატ. ილია** — გამარჯობათ.

ყველა მისკენ ბრუნდება.

**გურამი** — გამარჯობათ, ბატონო ილია, მობრძანდით.

**პატ. ილია** — კარი ღია დაგრჩენიათ და ჩუმად შემოვიპარე, ვიფიქრე, იქნებ ჩვენი ახალგაზრდობის საიდუმლო აზრები გავიგო-მეთქი.

**გურამი** — თქვენთან დასამალი არაფერი გვაქვს, ბატონო ილია.

**პატ. ილია** — ააა, დიდი დრამატურგიც აქ ყოფილა. მოხარული ვარ, ჩემო ლევან, შენი წარმატების მოხარული ვარ.

**ლევანი** — გმადლობთ, პატივცემულო ილია.

**გურამი** — მაკა ახლავე სუფრასთან დაგვიძახებს.

**პატ. ილია** — საჩქარო რა არის? აგერ ამ სავარძელს არაფერი მირჩევნია. თან ლევანს მინდა შევედავო ზოგიერთ საკითხში. პა, ლევან, რას იტყვი, რომ გავაკრიტიკოთ!?

**ლევანი** — მადლობის მეტი რა მეთქმის, ბატონო ილია.

**პატ. ილია** — მღა, მამატიეთ, მაგრამ მე მგონი თქვენც დაგაინტერესებთ.

**ხმები** — როგორ გეკადრებათ, ვისმენტ ბატონო ილია.

**პატ. ილია** — პირველ რიგში, როგორც მშობელი ვერ დაგეთანხმები, შენს პიესაში თაობათა პრობლემაც დგას. ჩემს მაგალითზე გეტყვი — კონფლიქტი შვილებთან ყოველდღიურად მაქვს, მაგრამ სახლიდან არც-ერთი არ გავრბივართ, პირიქით, მათთან დავაში

ობადება სიმათლე და ჩვენც ვცდილობთ ობიექტური ვიყოფ.

**ქმარი** — თქვენგან განსხვავებით, ბატონო ილია, პიესის გმირი, მე მგონი, იმ ნაკლოვანებებს ებრძვის, რომელსაც თავის მშობლებში ხედავს. ვიძელოვნებ, რომ თქვენი შვილები ასეთ ნაკლს თქვენში ვერ პოულობენ.

**პატ. ილია** — ხო, არა, ამ მხრივ თქვენ მართალი ხართ, მაგრამ როგორ შეიძლება პიესაში არცერთი დადებითი პერსონაჟი არ იყოს. მაგალითად, თუ ვნებავთ, სახელოსნოს პატრონი, გმირის უახლესი მეგობარი, რომელიც ჩუმად ცდილობს მისი საცოლე შეაკლანოს. დედამისი ავიღოთ — რალაც შევზნელი მაქინაციებით გარჯული ქალი. მას შიანია, რომ აფერისტობის გარეშე, პატროსნად საქმის გაკეთება არ შეიძლება, ან თუ ვნებავთ, მისი ქმარი — შშლარი ცხოვრებისაგან გამოღუნჩებული კაცი, რომელიც ცოლის ხელში ბრმა იარაღია და რადგან თანამდებობის პირია, ცოლის ყველა უწყისო სურვილს ადვილად ასრულებს — იქ, ვიდაცას მალაზიაში აწყობს, აქ უსინდისოდ ქრთამს იღებს, ახლა, სიმათლე, რომ ვთქვათ, იმ მექსიკურად მომღერალი შლიქვენლისთანა ტიპი, შენ რომ გყავს, ლევან, პიესაში, აღარ არსებობს. ეგ სამარცხვინო ეტაპია ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ წარსული, წარსული!

**გურამი** — ლევან, მაპატიე, მე შენთან პიესაზე არ მილაპარაკია. არა, რა თქმა უნდა, ისეთი საკითხები გაქვს წამოჭრილი, რომელიც ბევრი ჩვენთაგანის ოჯახში ხდება... ხდება კი არა, უბრალოდ ცხოვრება გაქვს ნაჩვენები... მოკლედ, მეშჩანები გიშლიან ნერვებს და მეშჩანების წინააღმდეგ იბრძვი, მაგრამ მე მგონი, ასეთ წვრილმანებზე დახურდავება არ ღირს. ახლა, რა პრობლემაა, მაგალითად, როგორ ჩაიცვას ახალგაზრდა ქალმა? როგორც უნდა, ისე ჩაიცვამს, ამის გამო დაჯდ და პიესა დაწერო?

**ქმარი** — მაგის შესახებ სრულიად არ არის პიესა. თქვენ ვერაფერი ვერ გაიგეთ.

**ცოლი** — მაგაზეა, მაგაზე. თავისი ნანა ნახევრად შიმეული რომ დადის, ის აწერინებს პიესებს, სხვა კი არაფერი.

**ქმარი** — ჩაეცივამ მაშინ ფერად ნიფხვებს და ვიგლი შარვალგანსნილი.

**ცოლი** — შენგან სხვას არც მოველი, თვითონ ხართ მეშჩანები და დეგენერატები.

**ქმარი** — ოთპ, მოიცა, მერე, ბატონო ილია, პიესაზე ასეთი დილეტანტური საუბარი, მე მგონი, არ გეკადრებათ. მერე რა რომ თქვენ ლევანის ლექტორი იყავით? ახლა ის უკვე სწორ გზაზე დასაყენებული ბავშვი აღარ არის და ამიტომ მის ნახელავს ცოტა სერიოზულად და შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ.

**გურამი** — არა, არა, შენ სწორი არ ხარ. პატივცემულმა ილიამ იცი რა სთქვა? პიესაში დადებითი პერსონაჟი არ არსებობსო. თუ გინდა პიესის გმირი, ისიც ისეთივე უპრინციპო და ეგოისტი ადამიანია, როგორც სხვები. საცოლე? საცოლე ფუქსავატია, მოდას აყოლილი, არაფრის მქნელი და არაფრის მთქმელი ქალიშვილი. ასე ვთქვათ, ტვინი ჭინჭებით აქვს გამოტენილი. ასეთ ადამიანს, დარწმუნებული ვარ, სიყვარული არ შეუძლია. საერთოდ, როგორ შეიძლება ასეთი ადამიანის შეყვარება? რისთვის, რა დადებითი თვისებებისთვის? სიყვარული მართლ სილამაზით კი არ მოიპოვება.

**პატ. ილია** — (ქმარს) მიუხედავად თქვენი მღელვარე — ჩემთვის და უმსახურებელი კრიტიკისა, გურამს სავსებით ვეთანხმები. (ლევანს) სად იბოვე ამდენი სულით მახინჯი? შენ, ჩემო ლევან, ცხოვრება მრუდე სარკეში დაგინახავს. ისეთ გმირს რა ვუთხარი, რომელიც თავის მშობლებს ეუბნება, მე რა ვიცი, თქვენი შვილი რომ ვარ, იქნებ „პრიუტიდან“ ამიყვანეთო! ეს ხომ გრძობების პროვოკაციაა?! ეს მხოლოდ გასაღიზიანებლად არის ნათქვამი. ჩემმა ბიჭმა ასეთი რამ რომ მკადროს, გული გამისკდება. თუ გინდა „პრიუტიდან“ იყოს აყვანილი, ეს რა, მშობლებს დანაშაულად ვთვლებს?

**ქმარი** — (ირონიით) პატივცემულო ილია, ისეთი გაცხარებით ლაპარაკობთ, თითქოს პიესას ემოქმედოს თქვენზე.

**პატ. ილია** — (სიცილით) არა, რა თქმა უნდა, რა სალაპარაკოა, რომ ლევანი ნიჭიერი ბიჭია. ლევან, უბრალოდ, მე აქ ჩემი ზოგიერთი შენიშვნა გამოვთქვი და არაფერს არ ვახვევ თავზე. შენ რომ უცხო იყო, მაშინ სრულიად არაფერს არ გეტყოდი — მე ამ საქმის სპეციალისტი არ ვარ. დამეთანხმები, თუ არ დამეთანხმები, შენი ნებაა. ჭეშმარიტებას კი არ ვლაღალებ. აი, მე მეჩვენება, რომ მლიქვნელის მიერ მანდარინების და ბორჯომის მოტანა ცოტა მოძველებულია... ანდა, თუ გინდა, ცხენისტანიანი კაცის შესახებ... ასეთი უვიცობა წარმოუდგენელია! წარმოუდგენელია, შეუძლებელია, თანამედროვე ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, ამ ზომამდე უვიცი? ცხენისტანიანი კაცი ეს ხომ...

ამ დროს თვამ იკრძნო, რომ თვითონაც შეეძლო რადაცის თქმა.

**თვა** — ცხენისტანიანი კაცი არ ვიცი, მაგრამ, ამას წინათ დუნაიში, მდინარეა ევროპაში, ქალთევა დაიჭირეს.

ყველამ პირი დააღო, მაგრამ სიცილი შეიკავეს, ლევანს ხარხარი აუტყდა.

**ლევანი** — (როცა დამშვიდდა) მაპატიეთ.

**პატ. ილია** — ჰოო, მამ... რაშია იცით, თეიკო, საქმე! მამ... თქვენ პი-  
ესა თუ ნახეთ?

**თეა** — არა, არ მინახავს.

**პატ. ილია** — ჰო, იქ სხვანაირად დგას პრობლემა და ამიტომ შეიძლე-  
ბა გაგიჭირდეთ ჩვენს საუბარში ვარკვევა... და მაინც, ლევან, ეს  
მიკერძობებული აზრია. მერწმუნე, ფინალი მაინც სულ სხვანაირი  
უნდა ყოფილიყო. თუმცა, შენ რაც გაქვს, იქნებ ფინალიც არ  
არის. უფრო სწორად, მრავალმნიშვნელოვანი დაბოლოებაა. მოკ-  
ლედ, პიესა ამით არ მთავრდება. ალბათ ასე გინდოდა გეტქვა, პი-  
რიქით კი გამოვიდა. გმირი უნებბისყოფო ადამიანად გამოჩნდა,  
რომელმაც პოზიციები დათმო, ბედს შეუტრიგდა, ბრძოლა შეწყვი-  
ტა. მორჩა მისი ისტორია, აღარაფერია სათქმელი... აი, ამას უნდა  
მორიდებოდო.

**გურამი** — მეც ასე მგონია, სახლში უნდა დაბრუნდეს. ყველაფერი,  
რაც თავს გადახდა, უმნიშვნელოა. წერილმანია, ყველაფერი თა-  
ვისი ბავშვობით მოუვიდა. იცი, უნდა მიმხედარიყო, რომ რაც მას  
აღიზიანებდა, მისდამი სიყვარულით იყო გამოწვეული და თუ რა-  
მე დაუშავეს, მხოლოდ უნებბლიედ. რა ვუყოთ, მშობლები ამ ასაკ-  
ში შესწავლას ძნელად გადაეჩვევიან. უნდა მეტი მოთმენა გამო-  
ეჩინა, საცოლეზე კი რამენაირად რბილად ემოქმედა.

**ქმარი** — ასე მგონია, ლევანის გამოგონილ გმირზე კი არა, ვიღაც ცთ-  
ცხალზე ვსაუბრობთ.

**პატ. ილია** — ნამდვილად. გურამმა პირდაპირ გააცოცხლა პიესა. აი,  
ასეთი სახე უნდა ჰქონდეს ფინალს და საერთოდ პიესას, თორემ  
რა არის ეს მოდერნისტული ფინალი, აზრის გაბინდბუნდება, ეგ-  
რეთწოდებული თავისუფლება, პერსონაჟების ერთმანეთთან უწყა-  
ლური დამოკიდებულება...

შემისასვლელთან, ვიღაც ქალზე ჩამოკონწიალებული, მთვრალი ნოდარი დგას.

**ნოდარი** — ახლა, მაინცდამაინც ნუ დავკლავთ ერთმანეთს ამ შედეგ-  
რის გამო.

**ყველა ერთხმად** — ნოდარ!

**ნოდარი** — საღამო კამპანიას.

**გურამი** — შემოდი, ნოდარ. (ქალს) მობრძანდით.

**ნოდარი** — დიდ ილიას ჩვენი „პრივეტები“!

**პატ. ილია** — (ლიმილით) გამარჯობა, ნოდარ. დავგიჟეკი, ერთი გვერ-  
დით და მოგვახსენე შენი ბრუტიანი აზრები.

**ნოდარი** — ეს, გაიცანით, ჩემი და და მეგობარი, ჩემთვის უახლოესი  
პირთვინება, მსოფლიოში პირველი ქალი — მარინა... ვლადი!

**მარინე** — მარინა.

**გურამი** — (სკამს მიუწევს) აი, აქ დაბრძანდით, მარინე.

**მარინე** — გმადლობთ.

**პატ. ილია** — რომელი ღობის ძირში იპოვეთ ეს ვაუბატონი?

**ნოდარი** — ღობის ძირში რატომ? პანემაზე შევხვდით საათის ქვეშ.

**პატ. ილია** — (ლიმილით). აჰ, ალბათ საათს იყავი მიყუდებული.

**ნოდარი** — (ირონიით) არა, იქვე ტალახში ვიწეკი და ამ წმინდანმა  
ამიყვანა, გამასუფთავა, გამათბო და სიცოცხლის ახალი ძალები  
შთამბერა.

**მარინე** — ქარტი ხომ არა გაქვთ, ვითამაშოთ.

სიჩუმე.

**გურამი** — თქვენი ნებართვით, ჯერ ვისადილოთ.

**ნოდარი** — რა თქმა უნდა, პირველ რიგში სტომაქი ავივსოთ. თუმცა  
სტომაქის გარდა ჯიბეც რომ ავივსოთ, არ იქნება ურიგო. ჰა, რას  
იტყვი, ჩემო ლევან? პიესამ ჯიბე საკმაოდ გამოგიბერა?

**ლევანი** — საკმაოდ.

**ნოდარი** — სწორია, დიდ დრამატურგს, დიდი ფულები ესაჭიროება,  
(მსახიობს) თქვენ რა გნებავთ? ისეთი თვალებით მიყურებთ, თით-  
ქოს სათქმელი წამერთვას თქვენთვის.

**მსახიობი** — არა, მე იცით რა... მაპატიეთ, თქვენ მე არ მიცნობთ, მე  
მინდა ერთი რამ გკითხოთ, აი, ყველა ვინც შემოვიდა, ოჰ, დრამა-  
ტურგო, გამარჯობათ, ისე უთხარით ლევანს, თითქოს თქვენა ხართ  
დრამატურგები, თითქოს ლევანზე რაღაცით მაღლა დგახართ...  
არა, მე რა მინდა, იცით, ვთქვა? აი, მე მსახიობი ვარ და მეც ასე  
მხვდებიან, ოჰ, მსახიობს ვახლავართო, თითქოს ჩემი მასწავლებელი  
იყოს, ან თითქოს მსახიობი იყოს, თანაც საუკეთესო მსახიობი...  
მე კი... ჰო, მოკლედ, ესე იგი, აი, თქვენ ყველანი მოხვედით და  
ლევანს რაღაც ირონიით — ოჰ, დრამატურგს ვახლავართო! თქვენ  
რა, ყველას გაქვთ პიესა დაწერილი და ლევანი ახლა შემოგემა-  
ტათ, თუ რაშია საქმე?

**პატ. ილია** — ეგ რა შუაშია?

**ცოლი** — ეგ რაღა იყო?

**გურამი** — ეგ რა შუაშია, ბიჭო?

**პატ. ილია** — უბრალოდ, ლევანი იმდენად ახლობელია ჩვენი, რომ  
ჩვენ შორის ასეთი დამოკიდებულება არ არსებობს. თუ გნებავთ,  
ასეთი შეძახილები მისი წარმატებით მონიჭებულმა სიხარულმა გა-  
მოიწვია.

**მსახიობი** — ჰო, რა ვიცი, თორემ ისე, ხანდახან მეჩვენება, რომ ყვე-  
9. დრამატურგია



ლა შურიანია, ან უზრდელია, ან კიდევ ხანდახან მგონია, ერთმანეთს შეჭმას ვუპირებთ.

**პატ. ილია** — როგორ გეკადრებათ?

**ცოლი** — ეს რეებს მიედ-მოედება?

სცენაზე მკა შემოდის. მას წინსაფარი უკეთია.

**მკა** — გამარჯობათ!

**ხმები** — ოჰ, მკა, მკა, გამარჯობა. მკა როგორ ხარ?

**პატ. ილია** — მკა, განარჯობა.

**მკა** — გამარჯობათ, ბატონო ილია. მაპატიეთ, ცოტა ფქვილით ვარ დასვრილი. გთხოვთ სუფრასთან მობრძანდეთ.

**გურამი** — აბა, წავედით. გთხოვთ, ილია ბატონო.

ლევანის გარდა ყველა გადის.

— წამო რა, ბიჭო, შენ ცალკე გეპატიყთ?

**ლევანი** — მიდი და ახლავე მოვალ.

**გურამი** — ოოჰ, წამოდი, დამიწყე აქ დასონები.

**ლევანი** — მიდი და მოვალ, რა მოგივიდა?

გურამი გადის. ლევანი სინათლეს აქრობს და ნახევრადჩანჩქლებულ სცენაზე საჯაროდ დგება. შერე ნელა უახლოვდება სასადილოს კარს, აღებს მას. სცენაზე სიცილისა და მხიარული ლაპარაკის ხმა შემოიჭრება. ლევანი კარს ხურავს, მისი კედლის რადიოსთან, რთავს მას, ცოტა ხანს უსმენს და შემდეგ იმ კარში გადის, რომლიდანაც ბირეულად შემოვიდა სცენაზე. სცენაზე კვლავ ლევანი შემოდის. მას ტანსაცმელი გამოუცვლია და კოსტუმის სწორებით მისი რადიომიმღებთან, რომელსაც გაღიზიანებული ენტრით გაჰორთავს. დედა სასადილოში გამავალი კარი და მარინეს ჩახუტებული ნოდარი განირის.

**ნოდარი** — (სასადილოსკენ) ახლავე მარინას გავაცილებ და დავბრუნდები.

წყვილისთვის ლევანი შეუმჩნეველი რჩება.

— ილიოტები! ეგენი ახლა ფიქრობენ, რომ ხელოვნების ელიტას ეკუთვნიან. ლევანი ხომ სუფთა სპეკულიანტია... თითიდან გამოწოვილი პრობლემები... უჰ, მაგისი... მეშინი მეშინებს აკრიტიკებდეს არ გამიგია, აფერისტი! უნივერსიტეტშიც ასე თავხედობდა რა თვითდაჯერებული უნდა იყო, რომ ეს პიესა დასადგმელად მიიტანო? კრეტიანი! სუფთა კარიერისტი. ეგ არის კაცი, რომელიც მყარად იდგება ფეხზე, ეგ ისეთი ეშმაკია, რომ თავის გენიოსობაში ყველას დაარწმუნებს. ერთი ჭკვიანი აღამიანი არ გამოჩნდა,

ერთი გაბედული პიროვნება, რომ ყველას დაანახოს ეს აფერისტი, ეს ეგოიზმით სავსე პიესა... სწორედ ამისთანა ხალხისათვისაა დაწერილი. (ხელს სასადილოსკენ იშვერს) ამათი ბრალა ყველაფერი. არაუშავს, დამაცადონ, შენ მაინც მიცნობ, დედას ვუტირებ, ისეთს დაწერ სულ ხელებს დამიკოცნიან. კრეტიანი ვირისთავი. ეს სულელებიც აპყლიან და პიესას ურჩევენ... ბოლმისაგან ლამის ეს სკამი დავლევო... (გაღიზიანებით) შენ სადღა მიღიხარ, აკი, დღეს საღამოს თავისუფალი ვარო?

**მარინე** — წამო რა, წამო, შენ თვითონ არ იბახი, კრეტინები არიანო?

**ნოდარი** — წამოდი, ამათი დედა ვატირე.

**მარინე** — (გასასვლელსკენ მიდის) წამოდი ჩემთან, კარტი ვითამაშოთ.

**ნოდარი** — (ბურტყუნით) ეს კარტი რაღა უბედურებაა?

ნახევრადჩანჩქლებულ სცენაზე გაოგნებული ლევანი მართო რჩება. სცენა ბრუნავს. ჩვენთვის პირველი მოქმედებიდან, ნაცნობი სასტუმრო, ნათელა მაგიდასთან ზის და კარტს შლის. გვერდით ნანა უზის.

**ნათელა** — ეს ვალეტი როგორ ყველგან ეჩხირება. ჯობს თავიდან დავარიგებ. (კარტს ურეც) ნანა, გენაცვალე, მთელი ჩემი ცხოვრება ლევანის კეთილდღეობაზე დიქრი იყო, რასაც მე ვერ მივალწიე, ყველაფერი ლევანისთვის მინდოდა. ეს იყო ჩემი ოცნება. დაბადებიდან ვუკითხავდი და განათლებდი. ის კულტურული ბავაჟი, რაც მას გააჩნია, ბავშვობაში აქვს ჩემგან შეძენილი. ხატვა, მუსიკა და... ვინ იცის, ცეკვიდან რომ არ გამომქცეოდა, ახლა სუნიშვილთან იქნებოდა საზღვარგარეთ... როგორ ხატავდა, როგორ ხატავდა!.. დედა, დედა, რა წლები, რა ოქროს წლები! რა უცებ გაირბინა დრომ... ვერც კი შევამჩნიე, კაცი რომ გახდა. მერე, რითი გადამიხდა? არაფრად მაგდებდა. იმ ცოდნით, რაც მე მივეცი, თავის თავს ჩემზე მაღლა აყენებდა, მთელი ჩემი ძალეზი წაიღო და ლიმონივით გამოწურული დამტოვა... აღარ ვაინტერესებ. რა ძნელია, რომ იცოდე, დედისთვის, რა ძნელია, როცა ბერდები და არავის ჭირდები.

**ნანა** — რას ამბობთ, ნათელა დეიდა, ლევანს თქვენზე მეტად არავინ უყვარს.

**ნათელა** — კი, რა თქმა უნდა, ვგრძნობ, ვანა არ ვგრძნობ, ლევანი ძალიან თბილი ბიჭია, მაგრამ ეტყობა დამაგიწყდა მესწავლებინა როგორ გამოეყენებინა ეს სითბო საკუთარი დედის მიმართ. ეტყობა დამაგიწყდა მეტყვა, რომ მე მართო მობეზრებული სახელმძღვანელო კი არა — მისი მშობელი დედა ვარ, რომელმაც მისთვის ბევრი იტანჯა, თუ გინდა, ესეც არ იყოს, ვანა ამდენი წლის



სიყვარული უკან არ უნდა დამიბრუნდეს? ღამე არ არის, რომ არ დამესიზმროს. ეს არაფერზე მეტყველებს? იმ ზომამდე ვარ მისული, რომ გუშინ სიზმარში კაფეში ვისხედით და ოფიცინანტიმ ოცდაექვსი მანეთი დაგვითვალა, მაგრამ ლევანის მატერიალური კეთილდღეობა, შენ გვინდა, მე არ მეხება? ჰოდა, თავიდან დავათვლეინე. ცხრა-მე-ტი მანეთი აღმოჩნდა! წარმოგიდგენია, შვიდ მანეთს გვატყუებდა! (მრავალმნიშვნელოვანი პ ა უ ზ ა) აი, ასეთი წვრილმანებისაგან შედგება, შვილო, დედის დიდი სიყვარული, და ამას ლევანი მეშინობას ეძახის... მამამის რაღას ერჩის? ბიჭიკო მის აღზრდაში საერთოდ არ ჩარეულა. ის კი არა, ბიჭიკოც ჩემი სათრევი იყო. ჩემი ქმრის კარიერა, ჩემი კარიერა, მისი თანამდებობა — ჩემი თანამდებობა. ეს ბინა, ეს ავეჯი, ეს კულტურა... ღმერთო ჩემო, ვიფიქრე, ლევანი მაინც დამიფასებდა და აპა, რეზულტატი — მარტოხელა, მიტოვებული. უბედური ქალი, რომელიც თავისი წუწუნით ყველას თავს აბეზრებს.

**ნანა** — რას ამბობთ, ნათელა დეიდა, ნეტავი ყველა ოქვენისთანა იყოს.

**ნათელა** — შენ გენაცვალე, ჩემო ნანა, შენ რაღას გერჩოდა ჩემი უპატრონო შვილი? შენ რაღა შუაში ხარ? განა ასეთ სიყვარულს ვასწავლიდი?... არა, ჩემი ბრალია, ისევე ეს ვალეტი, ჩემი ბრალია, სხვა დედებივით უნდა გამეღახა, ძვალ-რბილში რომ გავდომოდა ჩემდამი პატივისცემა. მაგრამ ვიფიქრე, უკულტურო ხომ არა ვარ თქო, ვინმე ხეპრეს ოჯახში ხომ არ გავზრდილვარ? ნანა, გენაცვალე, ჩემი მშობლები უდიდესი ბუნების ხალხი იყო. მამაჩემის სტუდენტი ყველა პროფესორი გამოვიდა და ერთი აკადემიკოსია. ეგ კი არა, ბიჭიკო უბრალო სოფლელი ბიჭი იყო და ეხლა ნახე, ვინ არის! და ეს ყველაფერი ჩემი მეშვეობით...

**ნანა** — ნათელა დეიდა, ლევანი ყველაფერს მიხვდება და დაბრუნდება. აი, ნახეთ, როგორი დაბრუნდეს, სულ ხელეებს დაგიკოცნით. მე ხომ ვიცი, რატომ წავიდა. თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ. ჩემი გულისთვისა ყველაფერი.

**ნათელა** — რატომ, ნანა, გენაცვალე, რატომ?

**ნანა** — რა სათქმელია, ნათელა დეიდა?

**ნათელა** — თქვი, შვილო, თუ რაზე იცი, თქვი.

**ნანა** — არა, სისულელეა, უნებურად წამომცდა.

**ნათელა** — თქვი, გენაცვალე, ჩემი ნუ მოგერიდება.

**ნანა** — არა, არა ღირს.

**ნათელა** — ნანა, ჩემზე უკეთ ვინ გავიგებს?

**ნანა** — არა, ნამდვილად არაფერი, ნათელა დეიდა.

**ნათელა** — თქვი, შე ქალო, დაიწყე და ახლა ინტერესით გინდა მომკლა?

**ნანა** — (იშმუშნება) ვილაც ჰყავს.

**ნათელა** — ვინ ვილაც?

**ნანა** — მოკლედ, ვილაც გოგო.

**ნათელა** — ვინ გოგო?

**ნანა** — რა ვიცი, ეტყობა ვილაცას გადაეკიდა.

**ნათელა** — რას ჰქვია, გადაეკიდა, ქუჩის ბიჭი ხომ არ არის?

**ნანა** — ბოლო დღეები სხვანაირად იქცეოდა. ეტყობა, ვინმემ გააგიჟა.

**ნათელა** — ლევანის გაგიჟება ადვილი კი არ არის. ალბათ კარგი ოჯახის შვილია, ღამაში გოგოა, ენაცვალოს დედა. ნეტა მასე თუა საქმე?

**ნანა** — (წყენით) რას ამბობთ, ნათელა დეიდა, ვილაც უცხო ქალი...

**ნათელა** — (შეცბუნებული) არა, არც მასე იქნება საქმე, ლევანი კაბას არ გაეკიდებოდა. (გულდათუთქული) ლევანი, მიუხედავად დედისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, პატიოსანი ბიჭია... შენ რძლობას რა მირჩევნია, ნანიკო.

**ნანა** — (დამორცხვებით) კარგი რა, ნათელა დეიდა.

**ნათელა** — ღმერთმა ქნას, მალე დაგვიბრუნდეს და ყველაფერი რიგზე იქნება... ეს პასიანსიც ჩემ ჯინაზე არ გამოდის. ეს ხომ იცი, რომელია? აი, ტუსადი რომ აკეთებდა ათი წლის მანძილზე და როცა გამოუვიდა, გაათავისუფლეს კიდევ... ისევე ეს ვალეტი. არა მჯერა, და რა გქნა. ეს თუ არ გამოვიდა, თავს მოვიკლავ... ისევე ეს „დამა“, მაგრამ რომ არა მჯერა? ეს აქეთ, ეს აქეთ, ესეც აქეთ. მე-რე? აპა, ესეც აქ, ამ შვიდიანს რაღა ვუყოთ? ეს არ ითვლება. (კარტს ურევს და თავიდან არივებს, თან მღერის)

გადავიწიე ამ ჩემს წკლავება,  
მოღეჭი და იცურავემე!

„დამა“ წავიდა ვალეტთან, ტუზი გავათავისუფლოთ და ახლა აგურის ექვსიანი იი. ოპ, ლევან, ლევან! ესეც აქ. (ისმის ზარის ხმა)

**ნათელა** — კარი ღიაა.

სცენაზე ლევანი შენოდის და გაუბედავად ჩერდება.

**ნანა** — ლევან!

**ნათელა** — ლევან, შვილო!

ნათელა ეგებება და გულში იხუტებს. ლევანი უხერხულად იშმუშნება.

**ნათელა** — მოდი, მოდი, როგორ გამხდარხარ, ასე უნდა, შვილო, ასე უნდა მოიძულო ოჯახი? არა, არაფერს გეუბნები: რა ფერმკრთა-

ლი ხარ? ავად ხომ არა ხარ?

ლევანი — არა, არაფერი.

ნათელა — რაღა არაფერი, აბა, ეს რა არის? თვალეები ჩაგვარდნია. დედა, რა არის ეს? ასე როგორ გამოიცვალე, პირდაპირ ლანდი გაგდის. აი, ასეა, დედის ხელი რომ მოგაკლდება. წვეწვებს აღარ სვამ — თუმცა ვინ გაგიწურავდა, ვინ მოგივლიდა? მოლა, შვილო, დაჯექი, თორემ წაქცევაზე ხარ.

ლევანი — წაქცევაზე რატომ ვარ ვითომ? მშვენივრად ვგრძნობ თავს.

ნათელა — შენ შეიძლება, მაგრამ, აბა, მანა ნახე, რაც შენ წახვედი... არა, არაფერს გეტყვი, მთავარია — კეთილად დაგვიბრუნდი. ჩვენ ჯანმრთელობას ვინ კითხულობს — შენ იყავი კარგად... ნანას მიესალმე, დედა გენაცვალოს, ნანა ჩვენზე ნაკლებ დღეში კი არ იყო.

ლევანი — (შორიდან) გამარჯობა, ნანა.

ნანა — ლევან, როგორ მოგვანატრე თავი.

ლევანი — ჰო, მეც მომენატრეთ.

ნათელა — მამაშენი ისე ცუდად არის, რომ თუ არ გავაფრთხილებ, შეიძლება სინხარულმა იმსხვერპლოს.

ლევანი — ახლა არ გინდა, მერე მე თვითონ შევალ.

ნათელა — ჰო, ლევან, ცოტა დაუყვავე, მოეფერე, თორემ ცოდვაა კაცი. მეც არ ვასვენებდი. გარაჟი ბოლო-ბოლო გავაკეთებინე. მანქანაზე დარბოდა. ისევ შენზე ვფიქრობდით... ვადაილა, აქეთ დარდი, იქით საქმე — ვერ ვაუძლო კაცმა. მალე საბენსიო ვახდებ. პერსონალური უნდა გავაკეთებინოთ. ოპ, ღმერთო, ღმერთო. აი, შენ მოხვედი და როგორ უცებ დავიტვირთე, აქამდე მთლიანად დაცლილი ვიყავი. ნანა, გენაცვალე, ხელი შემაშველე, თავბრუ მეხვევა. რამდენი საქმე გამიჩნდა უცებ. რა ობლებივით ვიყავით მე და მამაშენი, ლევან, რომ იცოდე, როგორ გვაკლდა შენი ხმა, ლევან! ჩვენი სახლი „მიორტვი დომი“ იყო. „მიორტვი დომი“! ამ ერთ წამში „მილიონ ტრისტა“ მოგონება დამატყდა თავს. როგორ ხარ, ლევან, როგორ ხარ!

ლევანი — რა მიშავს, ვარ რა.

ნათელა — ერთი არ გაგახსენდი? დაგერეკა მაინც, იქნებ დავიხოცეთ! რა იყო, შვილო, ასეთი რა გაწყენინეთ, ოჯახში რა არ ხდება. შენ გგონია, სხვებთან არ არის ჩხუბი და პატარა წაკინკლავება? მაგრამ ოჯახები კი არ ინგრევა. შვილები და მშობლები ერთმანეთს კი არ ჰკარგავენ... არა, მეტს არაფერს გეტყვი. მთავარია ჯანმრთელად ხარ. ჰამა გინდა? ახლავე სუფრას გაგიშლი.

ლევანი — არა, არაფერი არ მინდა.

ნათელა — მოვიტან მაინც, გავშლი, იქნებ რამე მოგეწონოს.

ლევანი — არაფერი არ მინდა, დედა, უკვე ვჭამე.

ნანი — მეც ასე ვარ, სადმე თუ წავედი, ნაგალითად, აგარაკზე და დედაჩემი დიდი ხანია არ მინახავს, უხერხულობას განვიციდი ხოლმე. დედაჩემი უზრდელებს ვერ იტანს და ხნეობრივი აღზრდა პირველ ადგილზე გვაქვს ოჯახში. მართალია, ამ ზრდილობისა და მორიდების ვანო ბევრმა დავეჩაგრა. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენზე აუკს ვერავინ ვერ იტყვის. ვერაფერს!

ნათელა — მართალია, შვილო, მართალი.

ნანა — ნარტო ის რად ღირს, რომ გასათხოვარ გოგოს დედაჩემი პატარა ბავშვივით კუდში დამდევს და თავზე მევლება.

ნათელა — ჩვენთვის ბავშვები ხართ. აბა, რა. რა ხნისაც არ უნდა იყოს ლევანი. ჩემთვის ყოველთვის პატარა ლევანიყოფილ დარჩება.

ნანა — დედაჩემიც მაგას მეუბნება. საერთოდ, ჩვენი ოჯახები ძალიან ჰგვახან ერთმანეთს.

ლევანი — (ირონიით) ნამდვილად.

ნათელა — ეჰ, ცოტაღა დარჩა პატიოსანი ოჯახები. ყველა ქურდობა-ხევა ვადასული... ლევანიყო, აგერ კამფეტი მაინც აიღე, შენი საყვარელი კარამელია.

ლევანი — არ მინდა, დედა, თავი დამანებე.

ნათელა — (ნანას) ლევანიყო ბავშვობაშიც ჭირვეული მჭამელი იყო.

ლევანი — ეს „ლევანიყო“ რაღა ისწავლეს?

ნათელა — (მშვიდობიანი სიცილით) აი, სულ ასე მაკრიტიკებს, მაგრამ ჭამით არასოდეს კარგად არ ჭამდა. ერთხელ, მახსოვს, ერთი კოვზი ფაფისთვის მამამისი ხეზე აძვრა და ნახევარი საათი ბედურასავით ჭიკჭიკებდა. მე და მამამისი თავზე გყვებოდით და აი, მშვენივრად, ლამაზი გაუკაცი ვაგზარდეთ, დედა ენაცვალოს, ჰამე რამე, მართლა არ გინდა?

ლევანი — ოჰ!

ნათელა — ჰო, კარგი, კარგი. მაშინ მოყვები, რას შვრებოდი, რითი ცოცხლობდი? მონატრებული ვარ შენ ხმას, ბიჭო, თქვი რამე... პრემიერამ როგორ ჩაიარა, რა გითხრეს... რა რეცენზიები იყო?

ლევანი — ყველას ძალიან მოეწონა.

ნათელა — ნანაც მაგას ამბობს.

ლევანი — შენ რას აკეთებ, ნანა?

ნანა — უიმიე, მე იმდენი საქმე მაქვს.

ლევანი — მაინც?

ნანა — კომპაგშირის კრებაზე მოხსენებით უნდა გამოვიდე.

ლევანი — ეჰ რა საქმეა?

ნანა — შენ ეგრე იძახე და მე, რაც კი გაზეთები არ მინახავს მთელი თვის მანძილზე, სულ უნდა წავიკითხო.

ლევანი — რა მოხსენებაა ასეთი?

**ნანა** — პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში.

**ლევანი** — მერე. ერთი თვის გაზეთი ეყოფა მაგას?

**ნანა** — ეყოფა კი არა, თავზეც გადაუვა. სულ ერთი და იგივე ხდება. ეს სისხლისმსმელი იმპერიალისტები აწვალენ პატარა და უბედურ ზანგებს.

**ნათელა** — ნწუ, ნწუ, ნწუ.

**ლევანი** — (ღიმილით) რას მელაპარაკები?

**ნანა** — მაშ! (სხაპასხუპით) თურმე იმ საწყლებს არც საჭმელი აქვთ და არც ტანსაცმელი. ევლა შიშველი და მშვირია. ან რა გასაკვირია, როცა ქალის ჩექმა თბილისში ორასი მანეთი ღირს... თუ მოღაშია, სამასზე ნაკლებ ვერ იშოვნის.

**ლევანი** — ეტყობა ფუნდამენტალურად შეგისწავლია ეგ საკითხი.

**ნანა** — დღე და ღამე გასწორებული მაქვს.

**ნათელა** — რა ჭკვიანი ვოგო ხარ, ნანა, გენაცვალე. ხეტა ლევანს ჰქონოდა შენი ხასიათი. სრულებით არ შესწევს ბრძოლის უნარია სწორედ ახლა, როცა პიესა დაიდგა, სწორედ ახლა საჭირო მოქმედება. ლევან, შეილო, ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტი ჩვენი ახლო მეგობარია. ბიჭიკოს დავარეკინებ და პიესა საკავშირო რეზონანსს მიიღებს. ახალგაზრდა დრამატურგის დიდი წარმატება! პიესა ითარგმნება რუსულად და მერე, შენ თვითონ იცი, რა პრესტიჟის გაზეთიცაა, მერე შეიძლება საზღვარგარეთაც ითარგმნოს... (უეცრად) ინგლისური, რომ არ შევრცხვით, კარგად უნდა გაიმეორო.

ლევანი დაღლილი თვალებით უყურებს დედას.

**ლევანი** — პო, დედა, აუცილებლად.

**ნათელა** — დაღლილი სახე გაქვს, ლევან. მიდი, ტახტზე წამოწეკი.

**ლევანი** — არა, არ მინდა.

**ნანა** — მაშინ, თუ გინდა, წამოდი, გავისეირნოთ. ვოგოებმა მითხრეს, ზოოპარკში სპილოს ხელა ბუზი მოიყვანესო. წავიდეთ, ვნახოთ.

**ლევანი** — (მშვიდად) ცოტა პატარა გეთქვა, სპილო რა ამბავია?

**ნანა** — ამხელაო და ხომ არ მოგატყუებ.

ნათელა ლევანს ხელმკლავს უკოებს და გვერდით გაჰყავს.

**ნათელა** — (ჩუმად, ნანამ რომ არ გაიგოს) მე და ნანა ექიმთან ვიყავით... ყოველშემთხვევისათვის... (თვალს ჩაუყრავს) ქალიშვილია!

**ლევანი** — (გაკვირვებით) მართლა? სერიოზულად ამბობ ამას?

**ნათელა** — (მტკიცედ) ასიანი!

ლევანმა ნანას გადახედა და სიცილი აუტყდა.  
ნანა ნათელასავით თვალის ჩაყვით გაეზანაშება.

სცენაზე ნახევრად მძინარე ბიჭიკო შემოდის. იგი თავის პერსონალურ სკამს მოათრევს, რომელსაც შუა სცენაზე დგამს, ზედ ჯდება და ძალის გაგრძელებას აბიჩებს.

**ნათელა** — დაგვიბრუნდა, ბიჭიკო, ჩვენი შვილი.

ბიჭიკომ ზანტად გააბილა თვალში.

**ნათელა** — ბიჭიკო, ლევანი დაბრუნდა.

**ბიჭიკო** — როგორ, წასული იყო სადმე თუ?

ლევანს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდა. იგი იცინის და ვერ გაჩერებულა. ბიჭიკო, ნათელა და ნანა გაკვირვებით და შინათ უყურებენ მას. ლევანი ნელ-ნელა მშვიდდება. იგი ნაღვლიანი სახით შეათვალავობს თავის მშობლებს და ნანას. ლევანი სწრაფად წამოდგა, თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, და კულისებისკენ წავიდა.

**ნათელა** — სად მიდიხარ, ლევან?

**ლევანი** — ზოოპარკში, ბუზი უნდა ვნახო.

ლევანი სცენიდან გადის.

**ნანა** — მოიცა, ლევან, მეც მოვდივარ.

ნანა ლევანს გაეკიდება. სცენაზე ნათელა, ბიჭიკო და სიზმუია.

**ნათელა** — (თავისთვის) გაზეთის კორესპონდენტი!

**ბიჭიკო** — (ფილოსოფიური იერით) გაიზარდნენ ბავშვები.

ფ ა რ ლ ა